

სამართალწარმოების ანგარიში
Litigation Report

**ინტერსექსიური დისკრიმინაცია
და ლგბტი ადამიანები
INTERSECTIONAL DISCRIMINATION
AND LGBTI PEOPLE**



ინვესტიციური დისკრიმინაცია და ლგბზი აღაშენები - სამართალწარმოების ანგარიში

WISG
2018

ინტერსექციური დისკრიმინაცია და ლგბტი ადამიანები - სამართალწარმოების ანგარიში

პუბლიკაციის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ან გადაბეჭდვა WISG-ის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს მოკლე ციტატების გამოყენება სტატიებში წყაროს მითითებით.

პუბლიკაცია მომზადებულია ILGA EUROPE-ის ფინანსური მხარდაჭერით „სამხრეთ კავკასიასა და რუსეთში ლგბტი ადამიანების მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა“ პროექტის ფარგლებში. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG) და ის შესაძლოა არ ემთხვეოდეს ILGA EUROPE-ის ოფიციალურ პოზიციას.

ავტორი:

ქეთევან ბახტაძე

რედაქტორი:

ეკატერინე ალდგომელაშვილი

დაკაბადონება:

ალექსი კახნიაშვილი

მთარგმნელი:

დავითი ჭილოლაშვილი

დაბეჭდილია:

კოლორადო გრუპი

© ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), 2018

E-mail: info@women.ge

Tel.: (032) 237 14 15

შინაარსი

შესავალი	3
ანგარიშის შესახებ	4
ლგბტი ადამიანთა ინტერსექციური დისკრიმინაცია	5
ძალადობა ლგბტი ადამიანთა მიმართ	12
ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაული	12
შანტაჟი და მუქარა ლგბტი ადამიანთა მიმართ	17
ტრანსფობიური ფემიციდი	19
სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისები	22
ტრანსგენდერ ქალთა უკანონო დაკავება	26
ოჯახში ძალადობა ლგბტი ადამიანთა მიმართ	31
ლგბტი ადამიანების პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავება	35
დისკრიმინაცია	37
დისკრიმინაცია სქესის ნიშნით	37
<i>დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში</i>	37
<i>სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალთა არაპირდაპირი დისკრიმინაცია</i>	39
დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე	40
დისკრიმინაცია გენდერული იდენტობის საფუძველზე	42
<i>ტრანსფობიური დამოკიდებულება პოლიციის მხრიდან</i>	44
გენდერის სამართლებრივი აღიარება	46
ტრანსგენდერ ადამიანთა ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე	48
ლგბტი საკითხების გაშუქება მედიაში	51
2017 წელს დოკუმენტირებული შემთხვევების, სამართლებრივი კონსულტაციებისა და საადვოკატო მომსახურების სტატისტიკა	56
შეჯამება	59
გამოყენებული მასალები	60

შესავალი

ქვეყანაში არსებობს მთელი რიგი სისტემური პრობლემებისა, რომელთა გამოც, სპეციფიკურად, ლგბტი ადამიანებს ექმნებათ ბარიერები საკუთარი უფლებებითა და თავისუფლებებით სრულად სარგებლობის თვალსაზრისით. ასეთი პრობლემებიდან შეგვიძლია გამოვყოთ ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ინციდენტების გამოძიებასთან დაკავშირებული მთელი რიგი ხარვეზები, ასეთი დანაშაულის შედეგად დაზარალებული ადამიანების მიმართ ღირსების შემლახავი მოპყრობა ან/და დანაშაულზე არასათანადო რეაგირება პოლიციის მხრიდან, გენდერის სამართლებრივი აღიარება და სხვა. ამასთან, ამ ჯგუფის მიმართ, ცალკეული დისკრიმინაციული ფაქტების განხილვისას, არასათანადო ყურადღება ექცევა სისტემური დისკრიმინაციის პრობლემებს. ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების ანალიზისას იკვეთება, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია თანმიმდევრული პოლიტიკა ლგბტი ადამიანების უფლებრივი თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

სისტემური პრობლემების არსებობას, ერთი მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოებაში არსებული სტიგმა და სტერეოტიპები ლგბტი ადამიანების შესახებ; მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ ხდება ჯგუფის წევრების სპეციფიკური საჭიროებების უგულებელყოფა (მაგალითად, ტრანსგენდერი ადამიანებისათვის არ არის ხელმისაწვდომი გენდერის სამართლებრივი აღიარება, ტრანსსპეციფიკური სამედიცინო პროცედურები და ა. შ.). ყოველივე ეს განსაკუთრებით დაუცველად აქცევს ლგბტი ჯგუფის წევრებს და მოწყვლადს ხდის ძალადობისა და დისკრიმინაციის მიმართ.

ანგარიშის შესახებ

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ 2017 წლის იანვრიდან 2018 წლის იანვრამდე პერიოდში წარმოებული სამართლებრივი და სოციალური საქმეების ანალიზს. 2017 წლის საქმეებთან ერთად, ანგარიშში შესულია WISG-ის მიერ 2016 წლის სამართალწარმოების ანგარიშში „არალიარებული ძალადობა“¹ თავმოყრილ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებიც, რადგან ხსენებულ ანგარიშში მითითებული საქმეების ნაწილის განხილვა გაგრძელდა და დასრულდა 2017 წელს. დოკუმენტი მოიცავს იმ საქმეებსაც, რომლებზე რეაგირებაც არ მომხდარა, მაგრამ დოკუმენტირებულია ორგანიზაციის იურისტების მიერ.

ანგარიშის მიზანია გამოკვეთოს ის ძირითადი პრობლემები, რაც ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულების ან სქესის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის საქმისწარმოების პროცესში იჩენს თავს.

1. ქ. ბახტაძე. „არალიარებული ძალადობა – სამართალწარმოების ანგარიში“. WISG. თბილისი. 2017. ხელმისაწვდომია აქ: <http://women.ge/publications/133/>

ლგბტი ადამიანთა ინგაერსექციური დისკრიმინაცია

ლგბტი ჯგუფის წევრები, სხვა დაუცველი ჯგუფების მსგავსად, შესაძლოა გახდნენ ინტერსექციური დისკრიმინაციის მსხვერპლი. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ლესბოსელი ქალი შესაძლოა დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდეს როგორც შეზღუდული შესაძლებლობის, ისე სექსუალური ორიენტაციის ნიშნით; კომერციული სექს-მუშაკი ტრანსგენდერი ქალი შესაძლოა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი გახდეს როგორც მისი გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, ისე მისი საქმიანობის გამო. ლგბტი ადამიანების ინტერსექციური დისკრიმინაცია მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორის ზემოქმედების შედეგია. ამ ფაქტორთაგან უნდა აღინიშნოს ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთი“², რასაც, როგორც წინამდებარე ანგარიშში თავმოყრილი საქმეების მაგალითზე მტკიცდება, განსაკუთრებით მძიმე გავლენა აქვს ჯგუფის წევრთა მიერ საკუთარი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობაზე და რაც ჰომოფობიური და ტრანსფობიური ძალადობისა და დისკრიმინაციის ერთ-ერთი საფუძველია.³

ერთზე მეტი ნიშნით პირის დისკრიმინაციას სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ: მრავალი ნიშნით დისკრიმინაცია, კუმულაციური დისკრიმინაცია, კომბინირებული დისკრიმინაცია, ინტერსექციური დისკრიმინაცია და სხვა. ერთზე მეტი ნიშნით დისკრიმინაციის ყველაზე გავრცელებული სახეებია:

- 1) მრავალი ნიშნით დისკრიმინაცია – პირი შესაძლოა ერთ შემთხვევაში დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდეს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით და მეორე შემთხვევაში – სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბისექსუალი ქალი შესაძლოა დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდეს სამუშაო ადგილზე შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით და შევიწროების მსხვერპლი – სამედიცინო სერვისის მიღებისას სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე;

2. ტერმინი აღნიშნავს შემთხვევას, როდესაც ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება ხდება თავად ამ ადამიანის ნებართვის გარეშე.

3. „ინტერსექციური დისკრიმინაცია ევროკავშირის გენდერული თანასწორობისა და ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობაში“. ევროპის საბჭო, 2016. ხელმისაწვდომია აქ: <http://bit.ly/2tscMMg>

- 2) კომბინირებული დისკრიმინაცია – პირი შესაძლოა ერთ შემთხვევაში ორი ნიშნით გახდეს დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი, როგორც მისი სექსუალური ორიენტაციის, ისე რელიგიური აღმსარებლობის გამო. მაგალითად, მუსლიმი გეი მამაკაცი შესაძლოა სახელშეკრულებო ურთიერთობაში ერთდროულად გახდეს დისკრიმინაციის მსხვერპლი როგორც მისი რელიგიური აღმსარებლობის, ისე სექსუალური ორიენტაციის მიმართ;
- 3) ინტერსექციური დისკრიმინაცია – პირის დისკრიმინაცია შესაძლოა პირდაპირ არ უკავშირდებოდეს მის სექსუალურ ორიენტაციას ან გენდერულ იდენტობას, მაგრამ მისი მდგომარეობა თვისებრივად განსხვავდებოდეს სხვა ადამიანების მდგომარეობისგან. მაგალითად, გენდერის სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებული საკითხების დაურეგულირებლობა პირდაპირ ზემოქმედებს ტრანსგენდერი ადამიანების ცხოვრების ხარისხზე, რადგან, ამ პრობლემის გამო, სხვა პირებთან შედარებით, ისინი არასახარბიელო მდგომარეობაში არიან: ხდებიან ე.წ. „იძულებითი ქაშინგაუთის“ მსხვერპლი პირადობის მოწმობის წარდგენისას, რაც ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ საზოგადოებაში მათთვის დამატებით ბარიერებს ქმნის დასაქმებისას, სხვადასხვა სერვისის მიღებისას და ზოგადად საკუთარი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის მხრივ.

საქართველოს დისკრიმინაციის აკრძალვის კანონმდებლობა⁴ კრძალავს მრავალი ნიშნით დისკრიმინაციას, რაც გულისხმობს დისკრიმინაციას ორი ან მეტი ნიშნით.⁵ ამავე კანონით განსაზღვრული ნიშნების ჩამონათვალი საკმაოდ ფართოა და მოიცავს რასას, კანის ფერს, ენას, სქესს, ასაკს, მოქალაქეობას, წარმოშობას, დაბადების ადგილს, საცხოვრებელ ადგილს, ქონებრივ ან ნოდებრივ მდგომარეობას, რელიგიას ან რწმენას, ეროვნულ, ეთნიკურ ან სოციალურ კუთვნილებას, პროფესიას, ოჯახურ მდგომარეობას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, შეზღუდულ შესაძლებლობას, სექსუალურ ორიენტაციას, გენდერულ იდენტობასა და გამოხატვას, პოლიტიკურ ან სხვა შეხედულებას. ამასთანავე, კანონით დაცული საფუძვლები არ არის ამომწურავად ჩამოთვლილი, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონი კრძალავს დისკრიმინაციას ნებისმიერი საფუძვლითა და ნებისმიერი ნიშნით.

ამდენად, ლგბტი ადამიანთა მიერ მათი უფლებებით სარგებლო-

4. მათ შორის საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი და სხვა კანონები.

5. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მუხლი 2 (4)

ბის უზრუნველყოფისათვის გასათვალისწინებელია მთელი რიგი სხვა ფაქტორებიც. პირთა ამ ჯგუფისადმი კუთვნილებას შესაძლოა გავლენა ჰქონდეს მათ კეთილდღეობაზე, მათ შორის უფლებრივი მდგომარეობის შეფასებისას მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული მთელი რიგი სხვა გარემოებები. მაგალითად, ცალკეულ შემთხვევაში, სიღარიბე პირდაპირ ახდენს გავლენას დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლის მიერ ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის გამოყენებაზე. შესაბამისად, როდესაც განვიხილავთ ლესბოსელი ქალის წინაშე არსებულ ბარიერებს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია შევაფასოთ მისი ეკონომიკური მდგომარეობაც და გამოვარკვიოთ არის თუ არა ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთის“ ფაქტორთან ერთად, არის თუ არა სასამართლოსადმი მიმართვისგან თავის შეკავების საფუძველი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობა ან იურიდიული მომსახურებისთვის საჭირო თანხის უქონლობა.

CEDAW კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, „ქალთა დისკრიმინაცია სქესისა და გენდერის საფუძველზე დაკავშირებულია სხვა ფაქტორებთანაც, რაც გავლენას ახდენს ქალებზე, როგორიცაა რასა, ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია ან რწმენა, ჯანმრთელობა, სტატუსი, ასაკი, კლასობრივი კუთვნილება, კასტა, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. სქესისა და გენდერის ნიშნით დისკრიმინაციამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ამ ჯგუფების წევრ ქალებზე სხვადასხვა ხარისხითა და სხვადასხვა ფორმით, ვიდრე ამ ჯგუფის წევრ კაცებზე“.⁶ დისკრიმინაციის ცალკეული საქმის განხილვისას, პირის დაუცველი ჯგუფისადმი კუთვნილების შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ ჯგუფის ზოგადი უფლებრივი მდგომარეობაც.

ხშირად, ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შედეგად დაზარალებული ლგბტი თემის წევრები მზად არიან მიზეზური ფულადი კომპენსაციის სანაცვლოდ დამნაშავეს შეურიგდნენ.⁷ ასეთ შემთხვევებში სამართალდამცავი ორგანოები მეტ ლოიალობას იჩენენ დამნაშავეს მიმართ. ეს ცალსახა მტკიცებულებაა იმისა, თუ რა გავლენას ახდენს მსხვერპლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ამგვარ დანაშაულებზე რეაგირების თვალსაზრისით.

6. General Recommendation No. 28 on the Core Obligations of States Parties under Article 2 of the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women. CEDAW/C/2010/47/GC.2. 2010. §18

7. იხ. საქმეები № 03-2017 და № 05-2017

ადამიანის ეკონომიკური კეთილდღეობა შეუძლებელია პირდაპირ უკავშირდებოდეს სექსუალურ ორიენტაციას ან გენდერულ იდენტობას და გამოხატვას, თუმცა ამგვარი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ლგბტი თემის წევრებს ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ გარემოში უწევთ ცხოვრება. ჯგუფის წევრების ყოველდღიურ ცხოვრებას ართულებს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული სტიგმა, რომელიც საქართველოში ძალიან ძლიერია. საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები პირდაპირ ზემოქმედებს ჯგუფის წევრთა დასაქმების, განათლების, სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობაზე და, შესაბამისად, ნეგატიურ გავლენას ახდენს მათი ცხოვრების ხარისხზეც.

წინამდებარე ანგარიშში თავმოყრილი საქმეების მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ლგბტი ადამიანების მიმართ ძალადობაზე, დისკრიმინაციასა და საზოგადოებრივი სივრცეებიდან გარიყვაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს ზეგავლენას.

2017 წლიდან WISG-ში დაინერგა ინდივიდზე ორიენტირებული მხარდამჭერი სისტემა, რაც გულისხმობს რამდენიმე სპეციალისტის ერთობლივ მუშაობას ბენეფიციარის საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. საგულისხმოა, რომ ორგანიზაცია არ კონცენტრირდება მხოლოდ მსხვერპლთა საჭიროებებზე. WISG-ის ღიად დეკლარირებული პოზიციაა, რომ უმრავლეს შემთხვევაში სოციო-კულტურული ფაქტორების გარდა, პირის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დისკრიმინაციული მოპყრობის და დანაშაულის პრედიქტორია. ამდენად, საჭირო და აუცილებელია, რომ დროულად იქნეს მიღებული ზომები, რომელმაც შესაძლოა მსხვერპლს აარიდოს ამგვარი დანაშაულის გამოცდილება და ხელი შეუწყოს მის სოციალიზაციას და საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას სხვების თანასწორად.

2017 წლის მანძილზე სოციალურ მუშაკის მიერ წარმოებული საქმეების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლგბტი თემის წევრების უმრავლესობას, ვინც WISG-ს მხარდამჭერის ან კონკრეტული სპეციალისტის სერვისის ისაღებად მიმართავს, დასაქმებასთან და საცხოვრებელთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. ფსიქო-ემოციური არასტაბილურობა და სოციალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები პირდაპირ უკავშირდება უმცირესობის სტრესს. ეს გარემოებები გავლენას ახდენს ჯგუფის წევრთა ცხოვრების ხარისხზე და ზემოქმედებს მათი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობაზე. ანგარიშში შესულია მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელობის საქმეები.

„WISG-ის სერვისის მიმღები ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანს-

ნსგენდერი ქალების უმრავლესობა განიცდის ოჯახის წევრებისგან გაუცხოებას. ამას განაპირობებს ქამინგაუთისგან თავის შეკავება. ჯგუფის წევრებს გაცნობიერებული აქვთ ქამინგაუთის ნეგატიური შედეგები და ერთგვარ თვითიზოლაციას მიმართავენ ოჯახის წევრებისგან, ცდილობენ თავი აარიდონ მშობლებთან და დაძმებთან კონტაქტს და თავის დამკვიდრებისთვის სივრცე ოჯახს ხარეთ ეძებონ ეს მიდგომა კიდევ უფრო აღრმავებს უფსკრულს ოჯახის წევრებთან, ნეგატიურად ზემოქმედებს ადამიანის სოციალიზაციაზე და, ზოგადად, ართულებს ადამიანის თვითრეალიზაციას სხვადასხვა სივრცეში, მათ შორის განათლების და დასაქმების ადგილას.⁸ ცალკეულ შემთხვევებში, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის ჩართულობით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ლესბოსელი და ბისექსუალი ქალების ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რადგან გადაიჭრა სოციალიზაცია-სთან და მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები.

გამოკვეთილი ტენდენციის მიხედვით, ტრანსგენდერი ქალების დასაქმების პროცესში სოციალურ მუშაკს განსაკუთრებით უჭირს მუშაობა. მიუხედავად ბევრი მცდელობისა, ძალიან იშვიათია შემთხვევა, როდესაც სპეციალისტმა შეძლო ამ ჯგუფის წარმომადგენლების წარმატებით დასაქმება. „სერვისის მიმღები ადამიანებიდან უმრავლესობას აქვს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და არ აქვს უმაღლესი განათლება. ტრანსგენდერი ქალების აბსოლუტურ უმრავლესობას შეწყვეტილი აქვს კავშირი ოჯახის წევრებთან და არ აქვს ერთგვარი მყარი მხარდაჭერის ქსელი, თუნდაც მხოლოდ მეგობრების სახით, შესაბამისად, უჭირს დასაქმება, სოციალიზაცია და იძულებულია დაკავდეს კომერციული სექს-სამუშაოთი“.⁹

სოციალური საქმე # 01-2017

სუიციდის რისკის მქონე ტრანსგენდერი კაცის მხარდაჭერა

ტრანსგენდერი კაცი ვ. მ. სუიციდის მაღალი რისკის მქონე ბენეფიციარია. მასთან მთელი წლის განმავლობაში მუშაობდნენ WISG-ის ფსიქოლოგი, ფსიქიატრი და სოციალური მუშაკი. ვ. მ.-ს მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა მეუღლესთან განქორწინების შემდეგ და, სუიციდის მცდელობის გამო, დასჭირდა სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება.

ვ. მ. ცხოვრობს და მუშაობს საქართველოში, მაგრამ არ არის საქართველოს მოქალაქე, მისი ოჯახის წევრები არ ცხოვრობენ საქართველოში და არ ჰყავს მეგობრები. სოციალურმა მუშაკმა შეძლო მისი მხარდამჭერი ქსელის გაფართოვება

8. ინტერვიუ WISG-ის ფსიქოლოგთან ლიანა ბარაბაძესთან. 2018 წლის 30 იანვარი.

9. ინტერვიუ WISG-ის სოციალურ მუშაკთან თეონა თოდრაძესთან. 2018 წლის 30 იანვარი.

და ხელი შეუწყო მის გამგზავრებას ოჯახის წევრებთან.
ამჟამად, ვ. მ.-ს მდგომარეობა სტაბილურია, ის იღებს ფსიქოლოგის და ფსიქიატრის მომსახურებას და იმყოფება მუდმივ კონტაქტზე სოციალურ მუშაკთან.

სოსიალური საქმე # 02-2017

ლტოლვილის სტატუსის მქონე ტრანსგენდერი ქალის მხარდაჭერა

ტრანსგენდერ ქალი რ. ფ. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრობს და აქვს ლტოლვილის სტატუსი. იგი არ არის დასაქმებული და საცხოვრებელითა და დღიური ხარჯებით უზრუნველყოფს WISG-ის პარტნიორი ორგანიზაცია SOS ბავშვთა სოფელი, რომლის ბენეფიციარიც იყო სრულწლოვანების მიღწევამდე. აღნიშნულ სერვისს ის იღებს ნახევრად დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშესაწყობად.

WISG-ის სოციალური მუშაკის დახმარებით, რ. ფ.-მ შეიცვალა ბინა და გაიუმჯობესა საცხოვრებელი პირობები. მან ასევე მიიღო WISG-ის სექსოლოგის მომსახურება და ამჟამად, გრძელდება მისი მხარდაჭერა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

სოსიალური საქმე # 03-2017

კომერციული სექს-მუშაკი ტრანსგენდერი ქალის მხარდაჭერა

ზ. ბ. კომერციული სექს-მუშაკი ტრანსგენდერი ქალია. მას რამდენიმე წელია რეგიონში მცხოვრებ ოჯახის წევრებთან კავშირი განწყვეტილი აქვს. რამდენიმე თვის წინ კი, ოჯახის წევრებმა გაუუქმეს რეგისტრაციის ადგილი და, შესაბამისად, მისი პირადობის მოწმობაც გაუქმდა.

სოციალურმა მუშაკმა ზ. ბ.-სთან მუშაობა დაიწყო სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის დაეხმარა პირადობის მოწმობის განახლებაში და, უზრუნველყო ფსიქოლოგის სერვისის მიწოდება. ამჟამად, სოციალური მუშაკი მუშაობს ბენეფიციარის უცხო ენის ცოდნის გაუმჯობესების მიმართულებით შემდგომი დასაქმების სათვის ხელშეწყობის მიზნით.

სოციალური საქმე # 04-2017

ტრანზიციის პროცესში მყოფი ტრანსგენდერი ქალის მხარდაჭერა

ტრანსგენდერი ქალი გ. კ. იმყოფება ტრანზიციის ეტაპზე და იღებს მედიკამენტებს ექიმის დანიშნულების გარეშე. მასთან მუშაობენ WISG-ის სექსოლოგი, ფსიქოლოგი და ფსიქიატრი თვითნებური მკურნალობისგან გამონეწეული რისკების შემცირების მიზნით.

სოციალური მუშაკი უზრუნველყოფს გ. კ.-ს მხარდაჭერას დასაქმების მიმართულებით და ასევე მუშაობს მისი ოჯახის წევრებთანაც.

სოციალური საქმე # 05-2017

სიღარიბეში მცხოვრები ტრანსგენდერი კაცის მხარდაჭერა

ტრანსგენდერი კაცი ნ. ნ. უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. მასთან ოჯახის წევრებს განწყვეტილი აქვთ უერთიერთობა. არ გააჩნია საცხოვრებელი, დამოკიდებულია ალკოჰოლზე და საჭიროებს სრულ სამედიცინო-სარეაბილიტაციო მომსახურებას. მრავალი მცდელობის მიუხედავად, სოციალურმა მუშაკმა ვერ შეძლო მისი დაყოლიება ნივთიერებაზე დამოკიდებულების მოხსნისათვის სამედიცინო მკურნალობის ჩატარებაზე. ამ დროისთვის სოციალური მუშაკის მიერ მოძიებული იქნა დღის ცენტრი, სადაც ნ. ნ.-ს შეუძლია მიიღოს საკვები, შხაპი, ტანსაცმელი, პირველადი სამედიცინო მომსახურება, ასევე ისარგებლოს ტელევიზორით, კომპიუტერთა და ბიბლიოთეკით. ამჟამად, გრძელდება მუშაობა ნ. ნ.-სთვის სოციალურად დაუცველის სტატუსის მიღების, მუდმივი საცხოვრებელი და დასაქმების მიმართულებით.

სოციალური საქმე # 06-2017

ტრანსგენდერი ქალის დამოუკიდებლად ცხოვრების ხელშეწყობა

დ.-მ WISG-ს მომართა მძიმე სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გამო. მას ესაჭიროებოდა გადაუდებელი მატერიალური დახმარება.

სოციალურ მუშაკთან გასაუბრების შემდეგ გამოირკვა, რომ დ.-ს სურს დამოუკიდებლად შეძლოს ცხოვრება, საჭიროებს კონსულტაციას მის გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის ტრანზიციის პროცესზე და მოსალოდნელ შედეგებზე.

დ.-სთან მუშაობა დაიწყო WISG-ის ფსიქოლოგმა და სექსოლოგმა, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მისი მდგომარეობა. სოციალური მუშაკის დახმარებით ის დასაქმდა და გაუჩნდა საკუთარი შემოსავალი. დ.-სთან მუშაობა გრძელდება საჭიროებების შესაბამისად.

ქალღობა ლგბტი ადამიანთა მიმართ

ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით მოწივიკეპული დანაშაული

ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ინციდენტების გამოძიება პრობლემურ საკითხად რჩება 2017 წელსაც. პრობლემას წარმოადგენდა როგორც თემის წევრების მხრიდან პოლიციისათვის მიმართვიანობა, ისე სათანადო რეაგირება და ჰომოფობიური/ტრანსფობიური სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებში. ამ დრომდე გამოწვევად რჩება სახელმწიფოს პოლიტიკის არათანმიმდევრულობა ამგვარი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. შინაგან საქმეთა სამინისტრო სათანადოდ არ აქვს შესწავლილი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ბუნება და შესაბამისად, ჯერჯერობით არ გააჩნია ერთიანი მექანიზმი ამგვარი დანაშაულის პრევენციისათვის.

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) 2016 წლის სამართალწარმოების ანგარიშში თავმოყრილი არაერთი ასეთი საქმე გამოუძიებელი დარჩა. მრავალ საქმეში მოტივის გამოკვლევისას ვერ იდენტიფიცირდა ჰომო/ბი/ტრანსფობიური მოტივი. საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიშის თანახმად, 2017 წელს სიძულვილის მოტივის შესწავლა მიმდინარეობდა 86 სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში. კერძოდ, სექსუალური ორიენტაციის ნიშანი შესწავლილ იქნა – 12 სისხლის სამართლის საქმის, ხოლო გენდერული იდენტობის ნიშანი – 37 საქმის ფარგლებში. 2017 წელს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 44 პირის მიმართ. ამათგან, 4 პირს ბრალი წარედგინა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, 4 პირს – გენდერული იდენტობის ნიშნით. ამავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, გაორმაგდა ჰომო/ტრანსფობიულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული პირების რაოდენობა.¹⁰

მიუხედავად იმისა, რომ ჰომო/ბი/ტრანსფობიულ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან საბრძოლველად სამართალდამცავ უწყებებში წინსვლა შეინიშნება, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო არასაკმარის ძალისხმევას იჩენს ასეთი დანაშაულების გამოძიებისათ-

10. „საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში“. 2018.
ხელმისაწვდომია აქ: <http://pog.gov.ge/res/docs/6tebervalimtavariprokurorisangarishi.pdf>

ვის: „გვხვდება შემთხვევები, როდესაც ლგბტი თემის წარმომადგენელთა მიმართ სავარაუდოდ სიძულვილით ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისას, საგამოძიებო ორგანოს ცნობით, მცდელობის მიუხედავად, დისკრიმინაციული მოტივი არ გამოიკვეთა ან, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, გამოძიება არ დაიწყო. ასეთ შემთხვევებში სახალხო დამცველისთვის უცნობია, თუ რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირების მიზნით“.¹¹

WISG-ის წარმოებაში 2017 წლის მანძილზე იყო საქმეები, სადაც სიძულვილის მოტივის სათანადო გამოკვლევა ვერ მოხერხდა ან/და შეწყდა გამოძიება სხვადასხვა გარემოებების გამო.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში დაზარალებული უთითებს მის მიმართ უცნობი პირის მხრიდან სისტემატიურ დევნასა და ძალადობაზე: „ჩემთვის უცნობმა მამაკაცმა რამდენჯერმე მომაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა ქუთაისში, სხვადასხვა ადგილას. ოთხ შემთხვევაში გამოვიძახე პოლიცია, მაგრამ ის გაიქცა და მისი დაკავება ვერ მოხერხდა. ადგილზე არსებულმა კამერებმა კარგად ვერ დააფიქსირა, ამიტომ საქმეები შეწყდა. ბოლო ინციდენტის დროს პოლიციისთვის აღარ მიმიმართავს, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ აზრი არ აქვს“.¹²

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით ხშირი იყო ტრანსგენდერ ქალებზე ჰომოფობიური და ტრანსფობიური თავდასხმის შემთხვევები. ინციდენტებს ადგილი ჰქონდა როგორც კომერციული სექს-მუშაკი ქალების მიმართ ე.წ. „პლემუის“ (სექსმუშაკთა თავშეყრის ადგილი) მიმდებარე ტერიტორიაზე, ისე საცხოვრებელ სახლთან.

ცალკეულ შემთხვევაში, ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირების დამოკიდებულებას საქმის გამოძიების მიმართ განაპირობებდა კომპენსაცია, რომელსაც ბრალდებულის მხრიდან იღებდნენ. ასეთ შემთხვევებში დაზარალებული მეტ ლოიალობას იჩენდა ბრალდებულის მიმართ და ცვლიდა მის დამოკიდებულებას დამნაშავის დასჯასთან დაკავშირებით.

11. საქართველოს სახალხო დამცველი. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“. 2017. თბილისი. ხელმისაწვდომია აქ: <http://ombudsman.ge/uploads/other/4/4825.pdf>

12. იხ. საქმე №08-2017

სისხლისსამართლის საქმე # 01-2017

ჯგუფური თავდასხმა ტრანსგენდერი ქალებზე

2017 წლის 7 თებერვალს ტრანსგენდერი ქალები იმყოფებოდნენ თბილისში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ გასართობ დაწესებულებაში, სადაც მათ თავს დაესხა მათთვის უცნობის ოთხი პიროვნება, სამი მამაკაცი და ერთი ქალი. თავდასხმის შედეგად ქალებმა მიიღეს სხვადასხვა სახის სხეულის დაზიანება, ხოლო ერთ-ერთს მოტყეხილი ჰქონდა ხელი.

მომხდარზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ოთხივე თავდამსხმელი გამოვლენილი იქნა, თუმცა მხოლოდ ორი მათგანის წინააღმდეგ გაგრძელდა საქმის განხილვა სასამართლოში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე (ძალადობა) და 118-ე (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო. პროკურატურამ სათანადოდ გამოიკვლია რა დანაშაულის მოტივი, მიუთითა სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის დამაძიმებელ გარემოებაზე, რაც გულისხმობს დანაშაულის ჩადენას გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.

2017 წლის 15 დეკემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე დაზარალებულის მიმართ ბრალდებულის ადვოკატმაც გამოავლინა ჰომოფობიური დამოკიდებულება, რაც გამოიხატა შემდეგში: მ. მ.-მ აღნიშნა, რომ თავდამსხმელები მათ „პედარასტებს“ ეძახდნენ, როცა სცემდნენ. ბრალდებულის ადვოკატმა აღნიშნულზე ჰკითხა, იყო თუ არა დაზარალებული „პედარასტი“, და თუ იყო, ესე იგი, შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. დაზარალებულმა უპასუხა, რომ იყო ტრანსგენდერი ქალი.

საქმის განხილვა ამ დრომდე გრძელდება პირველი ინსტანციის სასამართლოში.

სისხლისსამართლის საქმე # 02-2017

თავდასხმა კომერციულ სექს-მუშაკ ტრანსგენდერ ქალზე

2017 წლის თებერვალს თბილისში, ე.წ. „პლექსის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსგენდერ ქალს მ. მ.-ს თავს დაესხა მისთვის უცნობი ორი პირი. თავდამსხმელებმა ქალს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა და დატოვეს შემთხვევის ადგილი.

ქალმა გამოიძახა პოლიცია და მომხდარზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. თუმცა, მოგვიანებით გამოძიება შეწყდა, რადგან მ. მ.-ს გაუჭირდა პოლიციისთვის თავდამსხმელთა ზუსტი აღწერილობის მიწოდება.

სისხლისსაგარეოლის საქმე # 03-2017

ე.წ. „კლიენტის“ მხრიდან თავდასხმა კომერციულ საქს-მუშაკ ტრანსგენდერ ქალზე

2017 წლის 10 თებერვალს, ორი სექს-მუშაკი ტრანსგენდერი ქალი გახდა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ე.წ. „კლიენტის“ მხრიდან. დანაშაულის ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება). მოგვიანებით გამოძიება შეწყდა, რადგან ბრალდებულმა დაზარალებულებს კომპენსაციის სახით გარკვეული თანხა გადაუხადა და მათ აღარ ისურვეს გამოძიების პროცესში მონაწილეობა.

სისხლისსაგარეოლის საქმე # 04-2017

ტრანსგენდერ ქალზე თავდასხმა საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე

2017 წლის 26 მარტს ტრანსგენდერი ქალი თ. ც. გახდა ტრანსფობიური ინციდენტის მსხვერპლი საცხოვრებელ სახლთან ახლოს. მას მეზობლად მცხოვრებმა ორმა ახალგაზრდამ მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ქალმა მიმართა პოლიციას, მაგრამ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა, რადგან მომხდარში პოლიციამ ვერ გამოკვეთა დანაშაულის ნიშნები.

სისხლისსაგარეოლის საქმე # 05-2017

ტრანსგენდერი ქალის ცემა

2017 წლის მაისში ვ. ტ. იმყოფებოდა მეგობართან სტუმრად თელავში. 18 მაისს საღამოს საათებში მასპინძელს თავს დაესხნენ უცნობი პირები და მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ვ. ტ. შეესწრო ამ ინციდენტს. მას ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ბლაგვი საგნით მიაყენა დაზიანება თავის არეში. შედეგად დაზარალებულმა მიიღო ტვინის შერყევა და დასჭირდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. მომხდარზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება). დაზარალებულს თავდამსხმელმა კომპენსაციის სახით გარკვეული თანხა გადაუხადა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მის პოზიციაზე. მოგვიანებით, ბრალდებულთან გაფორმდა განრიდება.

სისლუსაპართლისსაქმე # 06-2017

თავდასხმა კომერციულ საქმე-მუშაკ ტრანსგენდერ ქალზე

ზ. ბ. კომერციული სექს-მუშაკი ტრანსგენდერი ქალია და 23 აგვისტოს ღამით იმყოფებოდა ე.წ. „პლემკაზე“ (სექს-მუშაკთა თავშეყრის ადგილი). მოულოდნელად მას თავს დაესხა უცნობი მამაკაცი. ბენეფიციარმა გამოიძახა პოლიცია და დაუკავშირდა სახალხო დამცველის აპარატსაც. შემთხვევის შედეგად ზ. ბ.-ს დაზიანებული ჰქონდა ფეხი და დაუდგინდა ტვინის შერყევა. ზ. ბ.-ს განმარტებით მის მიმართ თავდასხმა მოტივირებული იყო ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით.

საქმისწარმოება განაგრძო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ.¹³

სისლუსაპართლისსაქმე # 07-2017

ჰომოფობიური თავდასხმა კომერციულ საქმე-მუშაკ ტრანსგენდერ ქალზე

ვ. ტ. კომერციული სექს-მუშაკი ტრანსგენდერი ქალია. 2017 წლის 10 აგვისტოს ე.წ. „პლემკის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მას თავს დაესხა ორი პიროვნება, რომელთაც მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. თავდამსხმელები იყენებდნენ სიძულვილის ენას და ლგბტი ადამიანებისათვის დამამცირებელ მეტსახელებს. ვ. ტ.-მ სცადა შემთხვევის ადგილს დროებით გარიდებოდა და გაიქცა. დაახლოებით ორი საათის შემდეგ იგი ისევ დაბრუნდა „პლემკაზე“, მალევე მასთან მივიდა დაახლოებით ხუთი მამაკაცი, მათ შორის იყო ორი თავდამსხმელიც. მათ დანახვაზე ვ. ტ. გაიქცა და დაახლოებით ათი მეტრით იყო დაშორებული თავდამსხმელებს, როდესაც ერთ-ერთმა მათგანმა ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლა. ქალმა ვერ მოასწრო დანახვა მისი მიმართულებით მოხდა თუ არა გასროლა. ვ. ტ. უახლოესი სასტუმროს მისაღებში შევიდა, რათა თავდამსხმელებისთვის თავი დაეღწია. სასტუმროს დაცვის თანამშრომლების დახმარებით ვ. ტ.-მ გამოიძახა პოლიცია. პოლიციის მოსვლამდე თავდამსხმელები მიიმალნენ.

პოლიციის შეამონმა მიმდებარე ქუჩის სათვალთვალ კამერების ჩანაწერები, მაგრამ რადგან თავდამსხმელთა სახეები გაურკვეველი იყო, ვერცერთი მათგანი იდენტიფიცირება და დაკავება ვერ მოხერხდა.

აღმინისკრასიული საპარტალწარმოებისსაქმე # 08-2017

გამოუქიანავალი ჰომოფობიური თავდასხმაზე გვი მამაკაცზე

2017 წლის 13 ნოემბერს ბ.-ს ქუთაისის წინ და უკან მიძიმეები ერთ-ერთი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე თავს დაესხა მისთვის უცნობი პირი. მან მი-

13. ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია იხილეთ აქ: <https://gylla.ge/ge>

აყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა და დამუქრა ძალადობის განმეორებით. ბ. განმარტავს, რომ იგივე პიროვნება, რომლის ქუთაისის წინ და უკან მძიმეები არ იცის და რომლის ცნობაც მხოლოდ სახეზე შეუძლია, ქუთაისში სხვადასხვა ადგილას უკვე ოთხჯერ დაესხა თავს.

ბ.-მ ოთხივე შემთხვევაში გამოიძახა პოლიცია, მაგრამ თავდამსხმელი გაიქცა და მისი დაკავება ვერ მოხერხდა. ადგილზე არსებულმა სათვალთვალო კამერებმა ვერ შეძლო თავდამსხმელის დაფიქსირება და შესაბამისად, უცნობია მისი ვინაობა. გამოძიება ყველა საქმეზე შეწყდა. 13 ნოემბერს მომხდარ ფაქტზე ბ.-ს პოლიციისთვის აღარ მიუმართავს. WISG-მა მხოლოდ შემთხვევის დოკუმენტირება შეძლო.

აღმინისგარეშე საპროტესტო აქციის საქმე # 09-2017

რეაბილიტაციის გარეშე დარჩენილი ჰომოფობიური ინციდენტი თბილისის მეტროში

ტრანსგენდერ ქალს ნ. კ.-ს, 2017 წლის 17 ნოემბერს, თბილისის მეტროში მგზავრობის დროს, თავს დაესხა მისთვის უცნობი ხუთი ახალგაზრდა მამაკაცი და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ნ. კ. შემთხვევას ასე აღწერს: „ახალგაზრდა მამაკაცების მხრიდან ვიგრძენი დაჟინებული მზერა, რასაც არ მივაქციე ყურადღება. შემდგომ მათ დაიწყეს შეურაცხმყოფელი, დამცინავი და დამამკირებელი საუბარი. ამაზე ვიკითხე, თუ რატომ იქცეოდნენ ასე, რასაც მოყვა პირადი შეურაცხყოფა, აგრესიული საქციელი მათი მხრიდან, გინება, ძალადობის მუქარა. ისინი იყენებდნენ ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილის ენას. მეკითხებოდნენ, ბიჭი ხარ თუ გოგო? რანაირად დადიხარ? და ა. შ.“. სიტყვიერ შეურაცხყოფას მოყვა ფიზიკური ძალადობა. ნ. კ.-ს ერთ-ერთი მგზავრი დაეხმარა და თავდამსხმელებმა შემთხვევის ადგილი დატოვეს.

ნ. კ.-ს შემთხვევის შესახებ პოლიციისთვის არ მიუმართავს ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთისა“ და ხელახალი ვიქტიმიზაციის შიშის გამო. WISG-მა მხოლოდ შემთხვევის დოკუმენტირება შეძლო.

შანტაჟი და მუქარა ლგბტი აღამიანთა მიმართ

ლგბტი აღამიანთა მიმართ ძალადობის გავრცელებული ფორმაა ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთით“ შანტაჟი და მუქარა. შანტაჟის და მუქარის ეს ფორმები განმტკიცებულია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ საზოგადოებაში არსებული სტიგმათა და ჯგუფის წევრებთან დაკავშირებული სტერეოტიპებით. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს სისხლის სამართლის დანაშაულთან, მაგრამ, თითქმის ყველა შემთხვევაში, დაზარალებულები თავს იკავებენ პოლიციისათვის მიმართვისგან. შესაბამისად, ასეთი დანაშაულები გამოუძიებელი და სათანადო რეაგირების გარეშე რჩება.

„ლგბტი ჯგუფის წევრთა უმრავლესობა, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური საფრთხიდან გამომდინარე, თავს არიდებს საჯაროდ საკუთარი სტატუსის გაცხადებას. გარდა ამისა, ქამინგაუთის შიში მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ამ ადამიანებისთვის საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლაში“.¹⁴

ხშირია შემთხვევა, როდესაც ადამიანებს უწევთ იცხოვრონ ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთის“ შიშში, რაც, თავის მხრივ, ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთი უმძიმესი ფორმაა. ასეთი ტიპის ძალადობა, ხშირად, ოჯახის წევრების მიერაც ხორციელდება და მსხვერპლებს მძიმე ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაში აყენებს.

WISG-ის წარმოებაში იყო საქმე, როდესაც ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთის“ მუქარამ ტრანსგენდერ ქალს დანაშაულისკენაც უბიძგა.¹⁵ ეს შემთხვევა ნათლად აჩვენებს, რამდენად დამორგუწველია ასეთი ტიპის შანტაჟი და მუქარა ჯგუფის წევრებზე და რა ზიანის მოტანა შეუძლია.

საქმე # 10-2017

დანაშაულის ჩადენა ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთისგან“ დაცვისათვის

ბენეფიციარს ნაცნობი მამაკაცი ემუქრებოდა ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთით“ ანუ მისი გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის მშობლებისთვის გამჟღავნებით. 2017 წლის 26 მაისს აღნიშნული პიროვნება მივიდა თ. ს.-ს სახლში, მშობლებთან შეხვედრის მიზნით. ქალმა მოასწრო მისი შეჩერება საცოვრებელი სახლის შესასვლელთან, სთხოვა, ეს არ გაეკეთებინა და აუხსნა მოსალოდნელი შედეგებიც, მაგრამ მამაკაცი მაინც ჯიუტად მოითხოვდა სახლში შეშვებას. მის შესაჩერებლად ქალმა ჯოხი აიღო და დაარტყა.

მომხდარზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. 2017 წლის 10 ნოემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე ქალი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო და სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით.

14. ე. ადღომელაშვილი, წინასწარგანწყობებიდან თანასწორობამდე, 2016, გვ. 28, ხელმისაწვდომია აქ: https://ge.boell.org/sites/default/files/wisg_study_on_homophobic_attitudes_final.pdf

15. იხ. საქმე №10-2017

საქმე # 11-2017

ე.ნ. „იძულებითი ქაბინგაუთის“ მუქარა განქორწინების მსურველი გვი მამაკაცის მიმართ

2017 წლის 2 ივნისს გ. ა.-მ WISG-ს სამართლებრივი დახმარების თხოვნით მიმართა. მისი განმარტებით, მეუღლე უარს ამბობდა მასთან განქორწინებაზე და ემუქრებოდა ე.ნ. „იძულებითი ქაბინგაუთით“ ანუ სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებით.

WISG-ის იურისტმა მეუღლეს აუხსნა ის სამართლებრივი შედეგები, რაც მის ქმედებას მოჰყვებოდა და მიანოდა ინფორმაცია სასამართლო წესით განქორწინების პროცესის შესახებ. მეუღლემ გაიაზრა რა საკუთარი ქმედების აბსურდულობა, დასთანხმდა გ. ა.-ს და წყვილი 2017 წლის ივლისის თვეში განქორწინდა.

გრანსფობიური ფემიცილი

გრანსფობიური ფემიცილი არის გრანსგენდერი ან გრანსსექსუალი ქალის მკვლელობა, სადაც დამნაშავე მოქმედებს მსხვერპლის გრანსსექსუალური მდგომარეობისა და გენდერული იდენტობის მიმართ ზიზლის ან მიუღებლობის მოტივით.¹⁶ ბოლო სამი წლის მანძილზე, საქართველოში გრანსგენდერი ქალის მკვლელობის ორი შემთხვევა დაფიქსირდა, სადაც იკვეთებოდა გრანსფობიური ფემიცილის ნიშნები: საბი ბერიანის საქმე¹⁷, სადაც გრანსფობიური სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა და ზ. შ.-ს საქმე, რომლის დეტალურიც WISG-ს 2016 წლის ანგარიშშია გადმოცემული.¹⁸

დისკრიმინაციული მოტივის იდენტიფიცირება სისხლის სამართლის საქმეში არსებითი მნიშვნელობისაა, როგორც დაზარალებულის ღირსების დაცვის, ისე ამგვარი დანაშაულის ჩადენის პრევენციის თვალსაზრისით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ძალადობრივი ინციდენტების დროს დისკრიმინაციული მოტივის იდენტიფიცირებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ასეთ შემთხვევებში, სახელმწიფოებს ეკისრებათ დამატებითი ვალდებულება, რომ ყველა ღონე იხმარონ რაიმე სახის დისკრიმინაციული მოტივის გამოსავლენად და დაადგინონ მომხდარში სიძულვილისა და წინასწარ

16. Camilo Bernal Sarmiento, Miguel Lorente Acosta, Françoise Roth, Margarita Zambrano. Latin American Model Protocol for the investigation of gender-related killings of women (femicide/feminicide). 2015. OHCHR. UN Women. გვ. 16. ხელმისაწვდომია აქ: <http://bit.ly/2CcjUn3>
17. საქმის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ აქ: <http://women.ge/news/newsfeed/124/>
18. საქმის შესახებ ინფორმაცია იხილეთ აქ: ქ. ბახტაძე. „არალიარებული ძალადობა – სამართალწარმოების ანგარიში“. WISG. თბლისი. 2017. გვ. 25. ხელმისაწვდომია აქ: <http://women.ge/publications/133/>

რგანწყოებს რაიმე როლი ხომ არ ჰქონდა.¹⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დაცულია არა მხოლოდ ღირსების შემლახავი მოპყრობისგან თავისუფლება, არამედ, ცალკეულ შემთხვევებში, ასეთი მოპყრობის გამოძიება და დამნაშავეს სათანადოდ დასჯა, მათ შორის, ჰომოფობიური და ტრანსფობიური შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთა. გამოძიების ეფექტიანობა ფასდება იმის მიხედვით, დადგინდა თუ არა პოლიციის მიერ გამოყენებული ძალის მართებულობა მოცემულ სიტუაციაში²⁰ და გამოიყენა თუ არა ხელისუფლებამ ყველა გონივრული საშუალება, რომ შეეგროვებინა და დაეცვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს ძალადობის რასობრივი თუ რელიგიური შეუწყნარებლობის, ან გენდერული დისკრიმინაციის საფუძველზე ჩადენას.²¹

ზ. შ.-ს საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში 2017 წლის 3 თებერვალს გაიმართა. პროკურატურამ გამომდინარე იქიდან, რომ ვერ შეძლო საქმეში ტრანსფობიური მოტივის იდენტიფიცირება, არ მოითხოვა დამნაშავეს პასუხისმგებლობის დამძიმება სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესით.²²

ზ. შ.-ს დედამ მ. ბ.-მ, როგორც დაზარალებულის უფლებამონაცვლემ, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას წარადგინა პოზიცია და ითხოვდა დანაშაულის ტრანსფობიური მოტივის გამოკვლევას. მ. ბ.-ს განმარტებით, მას მყარი ფსიქო-ემოციური კავშირი გააჩნდა შვილთან. ერთადერთი შვება და ნუგეში მ. ბ.-სთვის იმ ადამიანის სათანადოდ დასჯაა, რომელმაც მისი შვილის სიცოცხლე ხელყო. დაზარალებულის უფლებამონაცვლე სასამართლოს სთხოვდა სიძულვილის მოტივის გამოსაკვლევად შეესწავლა გარემოებები, რომლებიც დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენის ადგილთან, ბრალდებულის და დაზარალებულის მდგომარეობასთან სასჯელადსრულების დაწესებულებაში და დანაშაულის ჩადენის ხერხთან. მისი განმარტებით, ამ საკითხების გამოკვლევა სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირებას გააადვილებდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს დაზარალებულის პოზიციასთან დაკავშირებით არ უმს-

19. Šečić v. Croatia, no. 40116/02, § 66, 31 May 2007

20. Boacă and Others v. Romania, no. 40355/11, § 84, 12 January 2016

21. Identità and Others v. Georgia, no. 73235/12, § 67, 12 May 2015

22. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

ჯელია. სასამართლოს განაჩენით გ. მ. დამნაშავედ იქნა ცნობილი განზრახ მკვლელობაში და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

განაჩენი ბრალდებულმა თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. დაზარალებულის უფლებამონაცვლე მ. ბ.-მ სააპელაციო სასამართლოსაც წარუდგინა მისი პოზიცია, სადაც ნათქვამია: „პირველი ინსტანციის სასამართლომ პასუხი არ გასცა არც ერთ არგუმენტს, რომელიც ჩვენ მიერ იქნა დაყენებული და რომელიც მიუთითებდა სიძულვილის მოტივზე, რაც წარმოადგენს სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი არ არის გასაჩივრებული ბრალდების მხარის მიერ და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ასეთ უფლებას დაზარალებულს ან/და მის უფლებამონაცვლეს არ აძლევს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს არ აქვს უფლება დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, სააპელაციო სასამართლოს ვთხოვთ იმსჯელოს სასჯელის დამამძიმებელ მოტივზე, სრულად გამოიკვლიოს ის ფაქტები, რომლებიც მიუთითებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩადენაზე და დაადგინოს დანაშაულის ჩადენის მოტივად დაზარალებულის გენდერული იდენტობის მიმართ შეუწყნარებლობა, სასჯელს ნაწილში ცვლილების შეტანის გარეშე“. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა 2018 წლის 16 თებერვალს ხელახლა დაიწყო ერთ-ერთი მოსამართლის ცვლილების გამო.

დაზარალებულის ღირსების უფლების დასაცავად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ან მისი უფლებამონაცვლის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე არმანი და სილვა დიდი პრიტიკანეთის წინააღმდეგ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-2 მუხლით დაცული ეფექტიანი გამოძიების ვალდებულების ერთ-ერთი კრიტერიუმია დაზარალებულის უფლებამონაცვლის, მათ შორის, ოჯახის წევრის ჩართულობა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ეტაპზე საკუთარი კანონიერი ინტერესის დასაცავად.²³ ასევე, საქართველოს წინააღმდეგ განხილულ საქმეში სასამართლომ აღნიშნა: „იმისათვის, რომ გამოძიება ეფექტური იყოს ... სავალდებულოა მსხვერპლის უშუალო მემკვიდრის ჩართულობა პროცედურებში, რათა დაცული იქნეს მისი კანონიერი ინტერესები“.²⁴

ზ. შ.-ს საქმე ნათლად წარმოაჩენს სისტემურ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია როგორც დისკრიმინაციული მოტივის

23. Armani Da Silva v. the United Kingdom [GC], no. 5878/08, §§ 231-240, ECHR 2016

24. Tsintsabadze v. Georgia, no. 35403/06, § 76, 15 February 2011

იდენტიფიცირებასთან, ისე დაზარალებულის უფლებამონაცვლის მონაწილეობასთან სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა დახმარება და დაზარალებულის სერვისები

ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს გაცილებით უფრო მეტი ზიანი მოაქვს მსხვერპლისთვის, ვიდრე სხვა პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. მსხვერპლს შესაძლოა მიადგეს უფრო დიდი ფსიქოლოგიური ზიანი და გაუმძაფრდეს მონყვლადობის შეგრძნება, რადგან არ შეუძლია შეცვალოს მისი ის მახასიათებელი, რამაც ის მსხვერპლად აქცია. სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს მსხვერპლზე აქვს მნიშვნელოვნად უარესი ფსიქოლოგიური გავლენა, როგორცაა დეპრესიული შეგრძნებები და შფოთვა.²⁵

სიძულვილით მოტივირებული ერთ-ერთი დანაშაულის შედეგად, დაზარალებული ტრანსგენდერი ქალი ამგვარად აღწერს მასზე ინციდენტის გავლენას: „ინციდენტის შემდეგ ვიყავი სრულად შოკირებული, მეგონა, რომ მოვკვდი. სამი დღის მანძილზე ვიყავი სულ სახლში და ვცდილობდი სტრესთან გამკლავებას. ამ ინციდენტის შემდეგ ძალიან მეშინია „პლეკაზე“ გასვლა, მაგრამ რთული მატერიალური მდგომარეობის გამო, იძულებული ვარ და ეს ორმაგი სტრესია ჩემთვის“.²⁶

განსაკუთრებით მძიმეა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შედეგად დაზარალებული იმ მსხვერპლების მდგომარეობა, რომელთა საქმეშიც დამნაშავის დაკავება ვერ ხერხდება. ერთ-ერთი გეი მამაკაცი ასე აღწერს მის მდგომარეობას: „გამუდმებით დაშინებული ვარ, რომ სადმე შემხვდება და ისევ თავს დამესხმება“.²⁷

არანაკლები გავლენა აქვს მსხვერპლზე სიძულვილით მოტივირებულ ინციდენტებს. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ინციდენტები ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ერთ-ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალებული ტრანსგენდერი ქალი განმარტავს: „ინციდენტის შემდგომ შეშინებული და დაძაბული ვიყავი. ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა ჩემთვის და აქედან გამომ-

25. Hate crime laws – a practical guide. OSCE/ODIHR 2009. გვ: 20. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.osce.org/odihr/36426?download=true>

26. იხ. ვ. ტ.-ს საქმე №07-2017

27. იხ. ბ.-ს საქმე №08-2017

მდინარე მხოლოდ ერთი ინციდენტი არ არის ჩემი სოციალური შიშების და გაუცხოების მიზეზი²⁸.

საქართველოს კანონმდებლობა ადეკვატურად ვერ უზრუნველყოფს ხელახალი ვიქტიმიზაციისგან დაზარალებულის დაცვას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში.²⁹ ხელახალი ვიქტიმიზაციის რისკი განსაკუთრებით დიდია ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შედეგად დაზარალებული ადამიანების შემთხვევაში, საზოგადოებაში არსებული სტიგმისა და სტერეოტიპების გამო. აღნიშნული ფაქტორი, თავის მხრივ, ერთ-ერთი დამაბრკოლებელი გარემოებაა ამგვარი ძალადობის მსხვერპლებისთვის, რომ მიმართონ პოლიციას.

დღესდღეობით, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ პროკურატურის სისტემაში არსებული მონმისა და დაზარალებულის დაცვის სამსახური, სადაც, მთელი საქართველოს მასშტაბით, მხოლოდ 16 კოორდინატორი მუშაობს. კოორდინატორის ერთ-ერთი ვალდებულებაა, დაზარალებულს შესთავაზოს სერვისები, რომელიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ბაზაზე.

კოორდინატორების არსებობა პროკურატურის სისტემაში ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ სამსახურის არსებობა მხოლოდ ილუზიას ქმნის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირების სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში მხარდაჭერისთვის. კოორდინატორის მომსახურებით ვერ ისარგებლებს ის მსხვერპლი, რომელსაც არ აქვს დაზარალებულის სტატუსი. დაზარალებულის სტატუსის მინიჭება კი პროკურორის უფლებამოსილებაა.³⁰ ამგვარი მხარდაჭერი სამსახური არ არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, მსხვერპლებს კი, ყველაზე მეტად, მხარდაჭერა პოლიციაში მიმართვისთანავე სჭირდებათ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო არ შემოიფარგლოს ამგვარ დანაშაულზე რეაგირებით, არამედ უზრუნველყოს მსხვერპლთათვის სპეციალური სერვისების მიწოდება. მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისები უნდა მოიცავდეს მსხვერპლის მხარდაჭერას გამოძიების დასრულების შემდეგაც, რადგან, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, მსხვერპლს შესაძლოა

28. იხ. საქმე №09-2017

29. გ. ხატიამელი. „დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. თბილისი. 2016. გვ: 26

30. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 33 (6, პ)

გააჩნდეს სპეციფიკური საჭიროება და სერვისებიც ინდივიდუალურ შეფასებაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

დანაშაულის მსხვერპლის უფლებების, დაცვისა და დახმარების მინიმალური სტანდარტები თავმოყრილია ევროკავშირის დირექტივაში (2012/29/EU),³¹ რომელიც სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ უზრუნველყონ დანაშაულის მსხვერპლის პერსონალური თავისებურებების დროული და ინდივიდუალური შეფასება. შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული: ა) მსხვერპლის პერსონალური მახასიათებლები; ბ) დანაშაულის ტიპი და ბუნება; გ) დანაშაულის გარემოებები.³² ამავე დირექტივის შესაბამისად, მსხვერპლს ხელი უნდა მიუწვდებოდეს მხარდამჭერ სერვისებზე, რაც მინიმუმ უნდა იყოს: ა) ინფორმაციის მიწოდება მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობაზე; ბ) შესაბამისი სპეციალისტის მომსახურება; გ) ფსიქო-ემოციური მხარდამჭერი სერვისები; დ) ფინანსურ და პრაქტიკულ საკითხებზე კონსულტაციის განევა; ე) ხელახალი ვიქტიმიზაციისგან დაცვის მიზნით პრევენციული სერვისების მიწოდება.³³

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG) სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შედეგად დაზარალებულ ადამიანების დაცვისა და დახმარებისათვის იყენებს მსხვერპლზე-ორიენტირებულ მიდგომას, რაც გამოიხატება მისი პირველადი საჭიროებების შეფასებაში და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სპეციალისტების ჩართვის უზრუნველყოფაში. ორგანიზაციის ბაზაზე ამგვარი დანაშაულის მსხვერპლებისათვის უზრუნველყოფილია:

- ა) სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში ადვოკატის მომსახურება დაზარალებულის ინტერესების დაცვის მიზნით;
- ბ) სოციალური მუშაკის მომსახურება დანაშაულის შედეგად დამდგარი ნეგატიური შედეგების აღმოფხვრისათვის, რაც მოიცავს ფსიქო-ემოციურ მხარდამჭერას და კონსულტაციას პრაქტიკულ საკითხებში;
- გ) ფსიქოლოგის მომსახურება, რითაც უზრუნველყოფილია დანაშაულით გამოწვეული დამაზიანებელი ეფექტის შემცირება/აღმოფხვრა.

31. Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime.

32. იქვე მუხლი 22

33. იქვე მუხლი 8

ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში შესაძლებელია, სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე, მსხვერპლის მხარდაჭერის პროცესში ჩაერთოს შესაბამისი სპეციალისტი, მაგალითად, ფსიქიატრი, სექსოლოგი და სხვა. საჭიროების შემთხვევაში, სოციალური მუშაკი იყენებს რეფერირების მექანიზმსაც (მაგალითად, სერვისის მიმღების თავშესაფრით უზრუნველყოფისთვის და სხვა ისეთი სერვისის მოძიებისთვის, რომელიც ორგანიზაციის ბაზაზე არ არის ხელმისაწვდომი).

ზრანსგენდერ ქალთა უკანონო დაკავება

2017 წელს კვლავ აქტიუალური იყო ტრანსგენდერი ქალების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაკავების საკითხი. ასეთი მოპყრობის მსხვერპლნი ყველაზე ხშირად სექსმუშაკი ტრანსგენდერი ქალები ხდებოდნენ. დაკავება, რიგ შემთხვევაში, ე.წ. „პლეშკის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ხდებოდა, თუმცა, სხვა ადგილებშიც მრავალი შემთხვევა დაფიქსირდა. უმრავლეს შემთხვევაში დაკავებას წინ უძლოდა ქალების მხრიდან პოლიციის გამოძახება მათ მიმართ განხორციელებული ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულის ან/და ინციდენტის ფაქტზე. პოლიციის მიერ წინა წლების მსგავსად, ქალების დასაკავებლად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166 (წერილმანი ხულიგნობა) და 173 (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლები გამოყენებოდა.

„ადმინისტრაციული წესით დაკავება კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებაში ინტენსიურ ჩარევას წარმოადგენს და მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონით გათვალისწინებული სათანადო საფუძველი“.³⁴ გარდა იმისა, რომ პოლიციამ უნდა შეძლოს ადმინისტრაციული დაკავების გამოყენების აუცილებლობის დასაბუთება, მნიშვნელოვანია, რომ მან სასამართლოს წარუდგინოს დაკავებული პირის მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულებები. საქართველოს კანონმდებლობით პირის განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევა.³⁵ WISG-ის მიერ 2017 წელს წარმოებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებში იკვეთებოდა დაკავებულთა მიმართ ამგვარი დანაშაულის ჩადენის ნიშნები, მაგრამ დაზარალებულებმა ყველა შემთხვევაში უარი განაცხადეს გამოძიების დაწყების მიზნით პროკურატურისთვის მიმართვაზე. დაკავებულთა დამოკიდებულებას, მათი განმარტებით, განაპირობებს შიში, რომ შესაძლოა მომავალში პოლიციელების მხრიდან „უფრო მძიმე ანგარიშსწორებას ჰქონდეს ადგილი“.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მრავალ საქმეში აღნიშნა, რომ „ყველაზე მძიმე შემთხვევებშიც კი, როგორცაა ტერორიზმთან ან ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, კონვენცია კრძალავს წამებას და არაჰუმანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას, ან

34. ნ. ქურდოვანიძე. „სამართალდარღვევად მიჩნეული პროტესტი“. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. თბილისი. 2017. ხელმისაწვდომია აქ: <http://bit.ly/2sNmeNj>

35. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 147

დასჯას“.³⁶ დაკავებული ტრანსგენდერი ქალები აღნიშნავენ, რომ, ცალკეულ შემთხვევაში, პოლიციის მხრიდან, ადგილი ჰქონდა მათ მიმართ დისკრიმინაციული გამონათქვამების გამოყენებას.³⁷

გარდა ამისა, ტრანსგენდერი ქალების ნეგატიური გამოცდილება პოლიციასთან პირდაპირ ზემოქმედებს მათ მიმართვიანობაზე და ხშირად გავლენას ახდენს თემის სხვა წევრების გადაწყვეტილებაზეც, მიმართონ თუ არა პოლიციას მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პოლიციელებში ჰომოფობიური და ტრანსფობიური წინასწარგანწყობების შემცირებას, რათა სტიერეოტიპულმა დამოკიდებულებებმა არ უზიდავოს პოლიციელებს დისკრიმინაციული მოტივით ჯგუფის წევრთა უსაფუძვლო დაკავებისკენ.

საქმე # 12-2017

კომერციული საქმე-მუშაკი ტრანსგენდერი ქალების უსაფუძვლო დაკავება პოლიციის მიერ

2017 წლის 5 ივლისს, ლამის საათებში, ტრანსგენდერი ქალი მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა თბილისში, „პლეშკის“ მიმდებარე ტერიტორიაზე. მოულოდნელად, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სამშენებლო ობიექტიდან გამოვიდნენ ადგილზე დასაქმებული პირები და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ქალებს. ტრანსგენდერმა ქალებმა მიმართეს პოლიციას. პოლიციამ ადმინისტრაციული წესით დააკავა თავდამსხმელებიც და გ. უ.-ც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის გამო.

2017 წლის 6 ივლისს გამართულ სასამართლო სხდომაზე გ. უ.-სა და ორი თავდამსხმელის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოება შეწყდა, ხოლო ერთი მათგანი სასამართლომ დააჯარიმა 100 (ასი) ლარით.

36. Bekos and Koutropoulos v. Greece, no. 15250/02, § 45, ECHR 2005-XIII (extracts)

37. იხ. საქმე №22-2017

საქმე # 13-2017

ჰომოფობიური ინციდენტის შედეგად დაზარალებული ტრანსგენდერი ქალების უსაფუძვლო დაკავება პოლიციის მიერ

2017 წლის 2 მაისს ერთად მცხოვრები რამდენიმე ტრანსგენდერი ქალის საცხოვრებელ სახლს თავს დაესხნენ მეზობლები და სახლის მიმართულებით ისვრიდნენ ქვებს. ქალებმა გამოიძახეს პოლიცია და ითხოვნენ რეაგირებას მომხდარის გამო, მაგრამ პოლიციამ არ განახორციელა რეაგირება და ინციდენტის შედეგად დაზარალებულები დააკავა წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით.

2017 წლის 4 მაისს გაიმართა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა სასამართლოში. პოლიციამ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ შეძლო დაკავებულების მიერ სამართალდარღვევის ფაქტის დადასტურება და ადმინისტრაციული საქმისწარმოება შეწყდა.

საქმე # 14-2017

ტრანსგენდერი ქალის უსაფუძვლო დაკავება ტრანსფობიური მოტივით

2017 2 აგვისტოს ზ. ბ. პოლიციამ დააკავა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის. ბენეფიციარი თავს დამნაშავედ არ მიიჩნევდა და განმარტავდა, რომ მისი დაკავება გამოწვეული იყო პოლიციელების ჰომოფობიური და ტრანსფობიური წინასწარგანწყობებით.

2017 წლის 26 სექტემბერს გაიმართა საქმის განხილვა სასამართლოში და ბენეფიციარის მიმართ ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეწყდა მის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის გამო.

საქმე # 15-2017

ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა გვი წყვილის მიმართ

2017 წლის 14 ივლისს WISG-ს დაუკავშირდა მ. ბ., რომელიც განმარტავდა, რომ მას და მის პარტნიორს პარტნიორის მამა ემუქრებოდა ჯანმრთელობის დაზიანებით და სიცოცხლის მოსპობით. მოძალადემ შეიტყო წყვილის ურთიერთობის შესახებ და ჰომოფობიურ ნიადაგზე ახორციელებდა მათ დაშინებას და მუქარას. ბენეფიციარმა და მისმა პარტნიორმა უარი თქვეს პოლიციისათვის მიმართვაზე და განწყვიტეს კავშირი ორგანიზაციასთან.

საქმე # 16-2017

ჰომოფობიური ძალადობა ლესბოსელი ქალის მიმართ მშობლების მხრიდან

თ. ვ. ორივე მშობლის მხრიდან ბოლო ორი წლის მანძილზე განიცდიდა ძალადობას, რადგან მათთვის მიუღებელი იყო მისი სექსუალური ორიენტაცია. მშობლები სხვადასხვა ფორმით ძალადობდნენ შვილებზე: ახდენდნენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ძალადობას და „სექსუალური ორიენტაციისგან განკურნების მიზნით“ მკურნალობაზე დაყოლიების მცდელობას. როდესაც მშობლების მხრიდან ძალადობა აუტანელი გახდა, 2018 წლის 19 იანვარს მსხვერპლი სახლიდან გაიქცა და საცხოვრებლად პარტნიორთან გადავიდა მის. მშობლების მხრიდან ძალადობის მუქარა გაგრძელდა და გამომდინარე იქიდან, რომ მსხვერპლს ემინოდა მუქარის ასრულების, 19 იანვარსვე, WISG-ის დახმარებით პოლიციას მიმართა. საქმე გადაიგზავნა სხვა განყოფილებაში და 2018 წლის 24 იანვარს გამოიცა შემაკავებელი ორდერი ორივე მშობლის მიმართ: ძალადობის ფორმა: ფსიქოლოგიური; შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებულია: ა) მოძალადის იმ სახლიდან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს და ე) მოძალადისთვის მსხვერპლთან, მის სამსახურსა და იმ ადგილებთან მიახლოების აკრძალვა, სადაც მსხვერპლი იმყოფება.

საქმე # 17-2017

ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობა ბინამეზალი მამაკაცის მიმართ

გიორგი (სახელი გამოგონილია) ინტიმური პარტნიორის მხრიდან თითქმის მთელი ურთიერთობის მანძილზე განიცდიდა ადევნებას, ძალადობის შესახებ მუქარას, ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთის“ მუქარას და სექსუალურ ზეწოლას. ცდილობდა შეეწყვიტა ურთიერთობა პარტნიორთან, მაგრამ ეშინოდა, რომ ის გაამხელდა მათი ურთიერთობის შესახებ და ამიტომ თავს იკავებდა. გიორგი განმარტავს, რომ ურთიერთობის დროს დაინყო დამამშვიდებელი პრეპარატების

მიღება, გაუნდა შფოთვა და სხვა ფსიქო-ემოციური პრობლემები. მრავალი მცდელობის შემდეგ, გიორგი და მისი პარტნიორი შეთანხმდნენ, რომ შეწყვეტდნენ ურთიერთობას. 2017 წლის 20 ივლისს გიორგი იმყოფებოდა თბილისის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე და წასვლას აპირებდა სხვა ქალაქში. ამ დროს მასთან მივიდა ყოფილი პარტნიორი, რომელსაც წინასწარ ჰქონდა ბილეთი ნაყიდი იმავე მიმართულებით. მან ბილეთი გიორგის აჩვენა და დაპირდა, რომ თუ დაბრუნების შემდეგ მასთან ურთიერთობას არ გააგრძელებდა, მის ოჯახის წევრებთან ჩავიდოდა, და ურთიერთობის შესახებ მოუყვებოდა. გიორგიმ იმისათვის, რომ თავიდან აერიდებინა მოსალოდნელი საფრთხე და ის შედეგები, რომელიც ე.წ. „იძულებით ქამინგაუთს“ მოყვებოდა, გადანყვიტა ყოფილი პარტნიორის მოტყუება და დაპირდა, რომ დაბრუნების შემდეგ მასთან ურთიერთობას გააგრძელებდა. თბილისში დაბრუნების შემდეგ გიორგიმ მაინც შეწყვიტა ურთიერთობა პარტნიორთან, მაგრამ არტნიორის მხრიდან გაგრძელდა ადევნება, შანტაჟი და მუქარა. გიორგი თავს იკავებს პოლიციისათვის მიმართვისგან ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთის“ და ხელახალი ვიქტიმიზაციის შიშის გამო. WISG-მა მხოლოდ შემთხვევის დოკუმენტირება შეძლო.

საქმე # 18-2017

ფსიქოლოგიური ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან

ლ. მ. გეი მამაკაცია და ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი გახდა. დაზარალებულის განმარტებით პარტნიორის მხრიდან ადგილი ჰქონდა მის მიმართ სექსუალურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: ლ.-ს მიმართ პარტნიორი რამდენიმე თვის განმავლობაში ახორციელებდა ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთის“ მუქარას და ამ გზით აღწევდა მასთან შეხვედრას და სექსუალური კავშირის დამყარებას. მსხვერპლის განმარტებით მოძალადე თავის ქცევას ხსნიდა მსხვერპლის სიყვარულით და გული სწყნებოდა, რომ სხვაგვარად ვერ აღწევდა სასურველ მიზანს. ლ. მ.-მ დახმარებისთვის 2017 წლის ოქტომბრის თვეში მოგვმართა, რათა შეეტყო რა მექანიზმები არსებობდა ძალადობისგან დასაცავად, თუმცა პოლიციისთვის მიმართვისგან თავი შეიკავა პოლიციელების მხრიდან არასათანადო რეაგირების ან/და ღირსების შემლახავი მოპყრობის შიშის გამო. მოგვიანებით, როდესაც მის მიმართ ძალადობა აუტანელი გახდა, 2017 წლის 7 ნოემბერს WISG-ის დახმარებით მიმართა პოლიციას. პოლიციის რეაგირება გამოიხატა შემდეგში: მოძალადე დაიბარეს და გააფრთხილეს, რომ შეწყვიტა კონტაქტი ყოფილ პარტნიორთან. გაფრთხილების მიუხედავად, მოძალადემ კვლავ განაგრძო პარტნიორის შევიწროება, რაც გამოიხატა ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთის“ მუქარაში. მსხვერპლმა განმეორებით მიმართა პოლიციას და 2018 წლის 3 თებერვალს მოძალადის მიმართ გამოიკა შემაკავებელი ორდერი: ძალადობის ფორმა: ფსიქოლოგიური; შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებულია: ე) მოძალადისთვის მსხვერპლთან, მის სამსახურსა და იმ ადგილებთან მიახლოების აკრძალვა, სადაც მსხვერპლი იმყოფება.

ოჯახში ძალადობა ლგბკი ადამიანთა მიმართ

ლგბტი ადამიანების შემთხვევაში, ოჯახის წევრები თითქმის არასდროს იჩენენ მიმღებლობას მათი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მიმართ. ხშირ შემთხვევაში, ძალადობისთვის საკმარისია ეჭვი, რომ ოჯახის წევრი ლგბტი თემის წევრია. საზოგადოებაში არსებული სტიგმის გამო, ჯგუფის წევრები ერიდებიან ოჯახის წევრებისთვის საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამხელას. შესაბამისად, პოლიციისთვის მიმართვის შემთხვევაში აქვთ შიში, რომ მოხდება მათი ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთი“ და ოჯახის წევრები შეიტყობენ მათი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის შესახებ. აღნიშნული შიში საუფძველს მოკლებული არ არის, რადგან ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთის“ შემთხვევაში არსებობს ოჯახის წევრების მხრიდან უფრო მძიმე ფორმით ძალადობის საფრთხე.

ცალკე პრობლემას წარმოადგენს ერთნაირსქესიანი წყვილები-სათვის ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობისგან დაცვის მექანიზმებით სარგებლობა. აღნიშნული განპირობებულია როგორც ერთნაირსქესიანი წყვილების ურთიერთობის სახელმწიფოს მხრიდან არალიარებით, ისე ლგბტი თემში ამგვარი მექანიზმების შესახებ ცოდნის ნაკლებობით.

2017 წელს მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულმა კვლევამ³⁸ გამოავლინა ლგბტი ადამიანთა მიმართ გენდერული ძალადობის ძირითადი ტენდენციები. ჯგუფის წევრთა მიმართ ოჯახში ძალადობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს კვლევის შედეგად გამოვლენილი დისკრიმინაციის გამომწვევი მიზეზებიდან შემდეგი: ა) ტრადიციული ოჯახების შენარჩუნების მნიშვნელობა და 'ტრადიციული ფასეულობების' ზრდა; და ბ) არანორმატიული სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის არანორმალურად მიჩნევა.

ოჯახში ძალადობის თვალსაზრისით, ყველაზე მწვავე პრობლემად ჯგუფისთვის მაინც ასეთ შემთხვევებში პოლიციისადმი მიმართვა რჩება. WISG-ის წარმოებაში 2017 წელსაც ოჯახში ძალადობის მრავალი საქმე იყო, როდესაც ჯგუფის წევრები უარს აცხადებდნენ პოლიციისათვის მიმართვაზე და ირჩევდნენ, რომ დაჰყოლოდნენ მოძალადის ნებას, ან ეთმინათ ძალადობა. 2016 წლის მსგავსად,³⁹ 2017

38. Ashwill, Maximilian; Lacroix, Rebecca. 2017. Gender Based Violence in Georgia : Links among Conflict, Economic Opportunities and Services. World Bank, Washington, DC. © World Bank. <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/29108>

39. ქ. ბახტაძე. „არალიარებული ძალადობა – სამართალწარმოების ანგარიში“. WISG. თბილისი. 2017. გვ: 33 ხელმისაწვდომია აქ: <http://women.ge/publications/133/>

წელსაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა ერთ-ერთმა ქალმა შეძლო პოლიციისადმი მიმართვა, რაც ძალიან დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ამასთან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თ. ჯ., ბევრი სხვა ქალისგან განსხვავებით, ფინანსურად არ იყო დამოკიდებული ოჯახზე და ამ ფაქტორმა უზარმაზარი გავლენა იქონია მის გადარჩევად.

განსაკუთრებით პრობლემურია ოჯახში ძალადობა ერთნაირსქესიანი წყვილების შემთხვევაში. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობისგან დაცვის კანონმდებლობა ოჯახის წევრად არ მოიაზრებს ინტიმურ პარტნიორს და არც სპეციფიკურად ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის საკანონმდებლო რეგულირებას ახდენს. ამავდროულად, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა და გულისხმობს ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ ძალადობას, იძულებას და პარტნიორის ქცევის კონტროლს, რასაც სისტემატური ხასიათი აქვს და შედეგად მოჰყვება პარტნიორის პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება. ამგვარ ძალადობას ჰეტეროსექსუალი წყვილების მსგავსად, ადგილი აქვს ჰომოსექსუალ წყვილებშიც. მიუხედავად ამისა, სტატისტიკური მონაცემები ამგვარი ძალადობის შესახებ, ერთნაირსქესიანი წყვილების შემთხვევაში, ძალიან მცირეა.⁴⁰ ეროვნულ დონეზე კი, ასეთი მონაცემები საერთოდ არ მუშავდება. შესაბამისად, შეუძლებელია პრობლემის მასშტაბის შეფასება.

განსაკუთრებით ხშირია ლგბტი თემის წევრების მიმართ პარტნიორის მხრიდან ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთის“ მუქარა და ადგილი აქვს შანტაჟს მსხვერპლის სექსუალური ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებით. ყოველივე ეს ლგბტი ადამიანებს დამატებით ბარიერებს უქმნით სხვების თანასწორად ისარგებლონ დამცავი მექანიზმებით. ამდენად, ერთნაირსქესიანი წყვილებში ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა სამართალდამცავი უწყებების მხრიდან რეაგირების გარეშე რჩება.

2017 წელს WISG-ის პრაქტიკაში იყო შემთხვევა,⁴¹ როდესაც გეი მამაკაცის მიმართ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამო პოლიციის მიერ შემაკავებელი ორდერი გამოიცა. ეს WISG-ის პრაქტიკაში ერთადერთი შემთხვევაა, რაც ამტკიცებს, რომ სათემო ორგანიზაციების იურისტების თანხლებით პოლიციისათვის მიმართვის შემთხვევაში დამცავი მექანიზმით სარგებლობას გეი და ბი-სექსუალი მამაკაცებიც შეძლებენ.

40. The Health of Lesbian, Gay, Bisexual, and Transgender People. National Academy of Sciences. 2011. Page 233

41. იხ. საქმე №18-2017

WISG-ის მიერ წარმოებულ ერთ-ერთ საქმეში⁴², ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ლესბოსელ ქალს შესთავაზეს მსხვერპლის ძალადობისგან დაცვის თავშესაფრით და სხვა მსხვერპლისათვის გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობა, მაგრამ მან უარი განაცხადა, რადგან WISG-ში იღებს ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის და იურისტის სერვისს. მის გადანყვეტილებაზე გავლენა მოახდინა ხელახალი ვიქტიმიზაციის შიშმა იმ სპეციალისტების მხრიდან, ვინც არ არის დაახლოებული ლგბტი ორგანიზაციებთან და არ მუშაობს ამ ჯგუფთან. საქსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ აკადემიური ცოდნის არარსებობა წარმოადგენს უზარმაზარ ბარიერს ყველა სფეროს სპეციალისტისთვის და გავლენას ახდენს მათ მიერ განეული სერვისის ხარისხზე. შესაძლოა სპეციალისტს არ ჰქონდეს სტერეოტიპული დამოკიდებულება თემის წევრთა მიმართ, მაგრამ მაინც ვერ შეძლოს სრულფასოვანი სერვისის განევა.

ოჯახში ძალადობისგან დაცვის სერვისებით სარგებლობა არ შეუთავაზებიათ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი გეი მამაკაცისთვის.⁴³ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მსხვერპლს არ გააჩნდა თავშესაფრით და სხვა სერვისებით უზრუნველყოფის საჭიროება და აღარ მიუმართავს შესაბამისი უწყებისთვის. თუმცა, აღნიშნული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ოჯახში ძალადობისგან დაცვის სერვისებით სარგებლობა გეი და ბისექსუალი მამაკაცებისთვის არ არის ხელმისაწვდომი.

2017 წელს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება. კონვენციის რატიფიცირებასთან ერთად, განხორციელდა მრავალი საკანონმდებლო ცვლილება ქალთა ძალადობისგან დაცვის მიზნით, მაგრამ კანონში სხვადასხვა დაუცველი ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებების ასახვის გარეშე მისი მექანიზმებით სარგებლობა რთულდება ამ ჯგუფების წარმომადგენელთათვის. ამავდროულად, კონვენციის უპირატესი მოთხოვნაა, რომ „მსხვერპლთა უფლებების დამცავი ზომების მიღება, უზრუნველყოფილია ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, როგორცაა სქესი, გენდერი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულება, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობა, ეროვნულ უმცირესობასთან კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება, საქსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობა, ოჯახური მდგომარეობა, მიგრანტის

42. იხ. საქმე №16-2017

43. იხ. საქმე №18-2017

თუ ლტოლვილის სტატუსი, ან სხვა ნიშნით⁴⁴. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობისგან დაცვის მექანიზმები ჰეტეროსექსუალ წყვილებთან ერთად იცავდეს ჰომოსექსუალ წყვილებსაც და ითვალისწინებდეს ცალკეული დაუცველი ჯგუფის წევრების სპეციფიკურ საჭიროებებს.

44. კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ მუხლი 4(3).

ლგბტი ადამიანების პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავება

ხშირია ლგბტი ჯგუფის წევრთა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ხელყოფა, რაც სხვადასხვა სახით ვლინდება. მათ შორის არის ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთი“, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადამიანის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ან მესამე პირისთვის გამხელას თავად ამ ადამიანის თანხმობის გარეშე. ასეთ შემთხვევებში, საზოგადოებაში არსებული ძლიერი სტიგმის გამო, ლგბტი თემის წევრი შესაძლოა გახდეს ძალადობისა და დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი. მიუხედავად ასეთი ფაქტების სიხშირისა და მისი ნეგატიური გავლენისა, ჯგუფის წევრები თავს იკავებენ სამართალდამცავთათვის მიმართვისგან.

პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების განუყოფელი ნაწილია და დაცულია საქართველოს კონსტიტუციით.⁴⁵ პერსონალური მონაცემები, თავის მხრივ, სხვადასხვა კატეგორიის მონაცემებს მოიცავს და მათი დაცვის ხარისხიც განსხვავებულია. ინფორმაცია პირის სექსუალური ცხოვრების შესახებ წარმოადგენს განსაკუთრებულ პერსონალურ მონაცემებს, რომელთა დამუშავება ან მესამე პირებისათვის გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ ამ პირის წერილობითი თანხმობით ან იმ შემთხვევაში, თუ თავად ამ პირმა საჯარო გახადა ეს მონაცემი.⁴⁶ პირის სექსუალური ცხოვრების შესახებ ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას სექსუალური ორიენტაციის შესახებაც და კანონის მოქმედება მასზეც ვრცელდება. ამგვარი ინფორმაციის უკანონო ხელყოფა თავის მხრივ წარმოადგენს დანაშაულს.⁴⁷

WISG-ის პრაქტიკაში ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთის“ მრავალი დოკუმენტირებული შემთხვევა არსებობს, მაგრამ დაზარალებულთა უმრავლესობა უარს ამბობს მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ზომებს, რათა მეტად არ დაიმძიმოს მდგომარეობა. კიდევ უფრო პრობლემურია პოლიციისადმი მიმართვიანობა საქართველოს რეგიონებში და განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ლგბტი ადამიანებისათვის, რადგან ინფორმაციის გამჟღავნების მეტი შანსი არსებობს და ამან შესაძლოა ძალადობის პედალირება მოახდინოს.

45. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 20

46. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ მუხლი 6 (2, დ)

47. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 157

საქმე # 19-2017

ბიი მამაკაცის პერსონალური მონაცემების უნებართვო გავრცელება

2017 წლის 20 იანვარს ტ. დ.-ს მისი ნაცნობი დაუკავშირდა და აცნობა, რომ ერთ-ერთ სატელეფონო აპლიკაციაში დააყენა მისი სურათი, მიუთითა ასაკი, სექსუალური ორიენტაცია, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი და სხვა პერსონალური მონაცემები. აპლიკაციაში მითითებული იყო, რომ ნ. კ. „გაუწევდა მსურველებს ყველა სახის სექსუალურ მომსახურებას“.

დაზარალებულმა მისწერა აპლიკაციის ადმინისტრაციას და სთხოვა მისი ანგარიშის წაშლა. აპლიკაციის ადმინისტრაციამ წაშლა დაზარალებულის ანგარიში. მომხდარზე ტ. დ.-მ 2017 წლის 27 იანვარს მიმართა პოლიციასაც, მაგრამ პოლიციის მომხდარზე რეაგირება არ განუხორციელებია.

საქმე # 20-2017

ბიი მამაკაცის ფოტოების უნებართვო გავრცელება

2017 წლის 17 სექტემბერს WISG-ს მომართა ბ. გ.-მ, რომელიც რეგიონში ცხოვრობს პარტნიორთან ერთად ისე, რომ მისი და მისი პარტნიორის ნათესავებისა და მათთან ერთად მცხოვრები პირებისთვის არ აქვთ გამხელილი მათი სექსუალური ორიენტაციის შესახებ. ბ. გ. განმარტავდა, რომ მისი პირადი ინტიმური ხასიათის ფოტოები მეგობარმა უკანონოდ გადასცა მათ საერთო ნაცნობს, რომელმაც ამ დრომდე არ იცოდა მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ და ამ ფოტოების ნახვის შემდეგ შეიტყო და შეურაცხყოფა მიაყენა ჰომოფობიური მოტივით. ბენეფიციარი თავს იკავებდა პოლიციისათვის მიმართვისგან ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთის“ და რევიქტიმიზაციის შიშის გამო და 2017 წლის 21 სექტემბერს მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს. სახალხო დამცველმა საქმე გადააგზავნა რეგიონის პოლიციაში ტერიტორიული ქვემდებარეობის მიხედვით, მაგრამ არ გაუშვლია ბ. გ.-ს სექსუალური ორიენტაციის შესახებ. 2017 წლის 5 ოქტომბერს ბ. გ. გამოიკითხა ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაში, მაგრამ მას არ მოუხდენია საკუთარი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამჟღავნება პოლიციისთვის.

მომხდარზე არ აღძრულა სისხლის სამართლის საქმე, რადგან პოლიციამ ვერ დაინახა დანაშაულის ნიშნები.

დისკრიმინაცია

დისკრიმინაცია სქესის ნიშნით

დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში

შრომით ურთიერთობებში სქესის ნიშნით დისკრიმინაცია ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები ქალებისთვის. საქართველოს სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეთა უმრავლესობა შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში დისკრიმინაციას შეეხება.⁴⁸

2017 წელს გაგრძელდა WISG-ის წარმოებაში არსებული ლ. ლ.-ს საქმის⁴⁹ განხილვა სააპელაციო სასამართლოში. ლ. ლ. ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის დარგობრივი საფაკულტეტო კომისიის 2014 წლის 19 აგვისტოს #6 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას მისთვის ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავებაზე უარის თქმის ნაწილში. მომჩივანი მიიჩნევდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმე საქართველოში მოქმედი დისკრიმინაციის აკრძალვის კანონმდებლობის სრული უგულვებლყოფით განიხილა და მოითხოვდა აქტის შესაბამისობის შემოწმებას საქართველოს კანონთან „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კი დაუშვებლად ცნო ლ. ლ.-ს საკასაციო საჩივარი.⁵⁰

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა ლ. ლ.-ს საქმე და 2017 წლის 3 ივლისს რეკომენდაციით მიმართა სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის რექტორს და

48. საქართველოს სახალხო დამცველი. „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“. თბილისი. 2017. ხელმისაწვდომია აქ: <http://ombudsman.ge/uploads/other/4/4825.pdf>

49. საქმის დეტალებს გაეცანით აქ: ქ. ბახტაძე. „არალიარებული ძალადობა – სამართალწარმოების ანგარიში“. WISG. თბილისი. 2017. გვ: 47. ხელმისაწვდომია აქ: <http://women.ge/publications/133/>

50. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 22 ივნისის განჩინება საქმეზე ბს-205-203(კ-17)

მოითხოვა აკადემიაში ჩატარებული კონკურსის ბათილად ცნობა ლ. ლ.-ს ნაწილში და საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შედეგად მის მიმართ ახალი გადაწყვეტილების მიღება.⁵¹ სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ შესრულებულა.

ლ. ლ. მიიჩნევს, რომ მის მიმართ დაირღვა საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების უფლება და აზრისა და სინდისის თავისუფლება, რომელიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციით. იგი იდენება კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომელთა მიერ, რადგან აქვს განსხვავებული შეხედულებები სწავლასა და სწავლებაზე. ეს შეხედულებები კანონისა და სტანდარტის შესაბამისია, მაგრამ განსხვავდება იმ კომისიის წევრთა შეხედულებებისგან, რომლებიც მის აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნვის გადაწყვეტილებას იღებენ.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ პრეცედენტული სამართლით დადგინოდა, რომ „ის პირები, რომლებიც ქმნიან, ასრულებენ, ავრცელებენ ან გამოფენენ ხელოვნების ნიმუშებს, ხელს უწყობენ იდეებისა და მოსაზრებების გაცვლას, რაც სასიცოცხლოა დემოკრატიული საზოგადოებისათვის“.⁵²

გადაწყვეტილებაში საქმეზე *კიელდსენი, ბუსკი, მადსენი და პადერსენი დანიის წინააღმდეგ* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „[ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის] მე-2 მუხლის მეორე წინადადების მიზანია დაიცვას პლურალიზმის შესაძლებლობა განათლებაში“.⁵³ აღნიშნულ საქმეზე განმცხადებლებმა, როგორც ქრისტიანმა მშობლებმა, პროტესტი განაცხადეს სკოლებში სავალდებულო სქესობრივი განათლების გამო. სასამართლომ გამოიკვლია ეროვნული კანონმდებლობა, შეაფასა სასწავლო მასალა და არ დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა, რადგან ჩათვალა, რომ აქ არსებითი და გადამწყვეტი იყო ბავშვის საუკეთესო ინტერესი და არა მშობელთა მსოფლმხედველობა და რელიგიური შეხედულებები. ლ. ლ.-ს საქმეში ცენტრალური სწო-

51. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის რექტორს ჩატარებული კონკურსის კანონიერებასთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია აქ: <http://bit.ly/2CmBG2z>

52. Müller and Others v. Switzerland, 24 May 1988, §33, Series A no. 133

53. Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark, 7 December 1976, §50, Series A no. 23

რედ იმ სტუდენტების მოსაზრება უნდა ყოფილიყო, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ლ. ლ.-ს ჰქონდეს შესაძლებლობა ასწავლოს მათ, ხოლო სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა თავად აირჩიონ მასწავლებელი.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალთა არაპირდაპირი დისკრიმინაცია

სექსუალური ძალადობის შედეგად დამდგარი ორსულობის შეწყვეტის სამედიცინო პროცედურები მხოლოდ ფორმალურადაა ხელმისაწვდომი ამგვარი ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის. საქართველოს კანონმდებლობით ამგვარი დანაშაულის შედეგად დაზარალებული ქალებისათვის ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა – აბორტი აკრძალული არ არის. მიუხედავად ამისა, ხშირია შემთხვევა, როდესაც ქალი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო სამედიცინო პროცედურის საფასურის გადახდას ვერ ახერხებს. ასეთ შემთხვევაში ქალებს მატერიალური დახმარების თხოვნა უნევთ ოჯახის წევრებისა და ახლობლებისათვის, რაც მათ ხელახალ ვიქტიმიზაციას უწყობს ხელს.

2016 წლის აპრილში WISG-მა მიმართა სახალხო დამცველს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების არაპირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის მიზნით.⁵⁴ ომბუდსმენმა განიხილა ორგანიზაციის განცხადება და 2017 წლის 2 ოქტომბერს ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.⁵⁵ ზოგადი წინადადება შეეხება სექსუალური ძალადობის შედეგად დაზარალებული ქალების მიმართ დისკრიმინაციის წამახალისებელი პრაქტიკის აღმოფხვრას.

სახალხო დამცველი თავის წინადადებაში ყურადღებას ამახვილებს გაუპატიურების შედეგად ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტასთან დაკავშირებული სტიგმაზე: „ისეთ საზოგადოებებში, სადაც გაუპატიურების გამო მსხვერპლის დადანაშაულება და მისი სტიგმატიზაცია განსაკუთრებით არის ფესვგადგმული, გაუპატიურების შედეგად დამდგარი ორსულობა ქმნის წინაპირობას, რომ მსხვერპლი შესაძლოა მუდმივად იყოს მის ირგვლივ არსებული სოციუმის წინაშე და განიცდოს ვიქტიმიზაცია. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, სოციუმიდან მომდინარე წინააღმდეგობა, გა-

54. საქმის დეტალებს გაეცანით აქ: ქ. ბახტაძე. „არალიარებული ძალადობა – სამართალწარმოების ანგარიში“. WISG. თბილისი. 2017. გვ: 48. ხელმისაწვდომია აქ: <http://women.ge/publications/133/>

55. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის არსებითი თანასწორობის გარანტირების თაობაზე. ხელმისაწვდომია აქ: <http://bit.ly/2Co2kI9>

უპატიურების მსხვერპლნი იტანჯებიან დანაშაულის გრძობით, ნაკლებად სცემენ საკუთარ თავს პატივს და ეწევიან თვითსტიგმატიზაციას“.⁵⁶

ომბუდსმენმა ზოგადი წინადადებით მოუწოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- ა) გაუპატიურების შედეგად დამდგარი ორსულობის შემთხვევაში, განიხილოს სახელმწიფოს ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მსხვერპლისთვის დაფინანსების გამოყოფის საკითხი;
- ბ) გაუპატიურების შედეგად დაორსულებული ქალისათვის დაფინანსების მექანიზმის შემოღების შემთხვევაში, დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს მსხვერპლის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით;
- გ) გაუპატიურების შედეგად დაორსულებული ქალის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენდეს სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილება და დღის წესრიგში დაყენებისათვის საკმარისი გახდეს გაუპატიურების საქმეზე გამოძიების დაწყება.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ზოგად წინადადებაზე პასუხად, სახალხო დამცველს მიაწოდა ინფორმაცია იმ სერვისების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის და სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლების, დაზარალებულებისა და სავარაუდო მსხვერპლებისათვის და მათზე დამოკიდებული პირებისათვის. ეს სერვისები არ მოიცავს გაუპატიურების მსხვერპლი ქალებისათვის ორსულობის შეწყვეტის სამედიცინო პროცედურების დაფინანსებას. სამინისტროს წერილში⁵⁷ ამ სერვისის დანერგვასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი. შესაბამისად, სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება ამ დრომდე არ შესრულებულა.

დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე

ლგბტი ადამიანთა დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის სა-

56. იქვე გვ: 5-6.

57. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 18 ოქტომბრის წერილი №01/65268

ფუძვლზე განსაკუთრებით ხშირია შრომით ურთიერთობებსა და მომსახურების სფეროში. WISG-ს დოკუმენტრებული აქვს მრავალი შემთხვევა, როდესაც დასაქმებული ლგბტი ადამიანი განიცდის დისკრიმინაციას და შევიწროებას სამუშაო ადგილზე, მაგრამ უარს აცხადებს სასამართლოსთვის მიმართვაზე ე.წ. „იძულებითი ქაშინგაუთის“ შიშის გამო. ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ ლგბტ ადამიანები ხშირად აწყდებიან დისკრიმინაციას სერვისის სფეროში.

სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის საქმეები სახალხო დამცველის პრაქტიკაშიც მრავლადაა. 2016-2017 წლების ანგარიშის თანახმად, ომბუდსმენის წარმობაში არსებული საქმეების 11% სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებს ეხება.⁵⁸

სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის საქმეზე ერთ-ერთ გადანყვეტილებაში⁵⁹ ომბუდსმენმა აღნიშნა: „ლგბტი თემი ერთ-ერთ ყველაზე მონყვლად ჯგუფს წარმოადგენს საქართველოში. ისინი პრობლემებს აწყდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ სფეროში, იქნება ეს პირადი, პროფესიული, სოციალური თუ კულტურული ცხოვრების ასპექტები. საზოგადოებაში არსებული აგრესიული დამოკიდებულება, რომელიც დამკვიდრებული სტერეოტიპებით საზრდოობს, ლგბტი თემს უზღუდავს სამუალებას, რომ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები იყვნენ და არ გახდნენ სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლი“.

2018 წლის 1 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა WISG-ის წარმობაში არსებულ ერთ-ერთ საქმეზე⁶⁰ სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება წარადგინა.⁶¹ ომბუდსმენი მოსაზრებაში ხაზს უსვამს მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე გადატანას: „განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ გარემოებებზე, რომლის მიხედვითაც იკვეთება, რომ მას შეეზღუდა კაროკე ბარებში სერვისით სარგებლობის უფლება. უფლებით სარგებლობაში შეზღუდავს კი საფუძვლად დაედო მისი სექსუალური ორიენტაცია.“

58. საქართველოს სახალხო დამცველი. „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“. თბილისი. 2017. გვ: 8. ხელმისაწვდომია აქ: <http://ombudsman.ge/uploads/other/4/4825.pdf>

59. იხ. „საქართველოს სახალხო დამცველმა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა“. გვ: 7. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4194.pdf>

60. იხ. საქმე №

61. იხ. „საქართველოს სახალხო დამცველმა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა“. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5067.pdf>

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საკმარისად მიიჩნევს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოემოხა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³-ე მუხლის საფუძველზე, მოპასუხე მხარეზე გადავა იმის მტკიცების ტვირთი, რომ სერვისით სარგებლობისას განსხვავებულ მოპყრობას აქვს ლეგიტიმური მიზანი, რომელსაც ექნება ობიექტური და გონივრული დასაბუთება“.⁶²

ასევე, ომბუდსმენი მოუწოდებს სასამართლოს გაითვალისწინოს ის ფაქტიც, რომ „ლგბტი+ თემი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ჯგუფია, რომლის წევრებიც დისკრიმინაციას საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში აწყდებიან“.

სამოქალაქო საქმე # 21-2017

ღვთისმშობლის ქალისთვის კარაოკე ბარების სარვისით სარგებლობის აკრძალვა ჰომოფობიური მოტივით

ა. ლ. ხშირად სტუმრობდა ქ. თბილისში მდებარე სამ კარაოკე ბარს (სახელწოდებები არ სახელდება), რომელსაც ერთი ადმინისტრაცია ჰყავს. 2017 წლის 31 იანვარს, ერთ-ერთ ბარში ჩვეული სტუმრობისას, ქალმა შეიტყო, რომ ე.წ. „შავ სიაში“ იმყოფებოდა და ბარში შესვლა ეკრძალებოდა. 2017 წლის 15 მარტს იგი ეწვია მეორე ბარს, რომლის დაცვის თანამშრომელმაც აცნობა, რომ ე.წ. „შავ სიაში“ ყოფნის გამო დაწესებულებაში აღარ შეუშვებენ. ამასთან, აღნიშნულმა პირმა ა. ლ.-ს აცნობა, რომ მას ასევე ეკრძალებოდა მესამე დაწესებულების სერვისით სარგებლობაც. ა. ლ. მიიჩნევს, რომ მის ე.წ. „შავ სიაში“ მოხვედრას საფუძველად დაედო მისი სექსუალური ორიენტაცია. მან რამდენჯერმე სცადა დაწესებულების ადმინისტრაციასთან დაკავშირება, რათა შეეცყო ე.წ. „შავ სიაში“ მოხვედრის მიზეზი, თუმცა მისი ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ქალმა დისკრიმინაციის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. სასამართლოში მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი შესაგებლების თანახმად, ა. ლ.-ს დაწესებულებების შინაგანაწესის დარღვევის გამო დაეკისრა დისციპლინური სახდელი და ერთი წლის ვადით აეკრძალა კერძო საკუთრების ტერიტორიაზე დაშვება. საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

დისკრიმინაცია გენდერული იდენტობის საფუძველზე

WISG-ს დოკუმენტირებული აქვს ტრანსგენდერი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების დისკრიმინაციის მრავალი შემთხვევა სერვისის მიღებისას. თუმცა, სერვისის მიწოდება არ არის ერთადერთი სფერო, სადაც ტრანსგენდერი ადამიანები დისკრიმინაციულ

62. იქვე, გვ: 6

მოპყრობას აწყდებიან. არასახარბიელო და არასათანადო მოპყრობა გენდერული იდენტობისა და გამობატვის საფუძველზე მრავალად გვხვდება სახელმწიფო სამსახურებში, დასაქმების ადგილსა თუ საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულებებში. უმრავლეს შემთხვევაში, დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად დაზარალებული ტრანსგენდერი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანები თავს იკავებენ სასამართლოსა და სახალხო დამცველისთვის მიმართვისგან ხელახალი ვიქტიმიზაციისა და ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთის“ შიშის გამო. თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში ომბუდსმენის ანტი-დისკრიმინაციული მექანიზმის გამოყენება მაინც ხერხდება.

2016 წლის 3 ნოემბერს ვ. ტ.-მ საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა ტაქსის კომპანია „მაქსიმის“ წინააღმდეგ გენდერული იდენტობისა და გამობატვის საფუძველზე დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით.⁶³

2017 წლის 31 მაისს, საქართველოს სახალხო დამცველმა ტაქსის მძღოლ გ. გ.-სა და ტაქსის კომპანია „Maxim“-ს (შპს „ტექნოკომი“) გენდერული იდენტობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა.⁶⁴ სახალხო დამცველი რეკომენდაციაში აღნიშნავს, რომ „საქართველოს კანონის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მე-4 მუხლის თანახმად, ნებისმიერ დაწესებულებას, მათ შორის კერძო კომპანიებს, ეკისრებათ ვალდებულება, რომ თავიანთი საქმიანობა, სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობას შეუსაბამონ. ამდენად, შპს „ტექნოკომი“ უნდა უზრუნველყოს, რომ მის მიერ (მათ შორის, შუამავლობის გზით) საჯაროდ შეთავაზებული სერვისით ჯეროვანი სარგებლობა თანასწორად შეძლოს ყველა ადამიანმა, რამდენადაც შპს „ტექნოკომის“ მიერ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მცდელობა მომავალში შესაძლოა საფუძველად დაედოს დისკრიმინაციის წახალისებას“.⁶⁵

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა:

- ა) გ. გ.-ს, რომ ტაქსის მომსახურების განწევას დაიცვას თანასწორობის პრინციპი და მოემსახუროს მგზავრებს მათი გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის თუ სხვა

63. საქმის დეტალებს გაეცანით აქ: ქ. ბახტაძე. „არალიარებული ძალადობა – სამართალწარმოების ანგარიში“. WISG. თბილისი. 2017. გვ: 55. ხელმისაწვდომია აქ: <http://women.ge/publications/133/>

64. „საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია გენდერული იდენტობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4497.pdf>

65. იქვე გვ: 6-7

მახასიათებლის მიუხედავად;

- ბ) შპს „ტექნოკომს“, რომ საჯაროდ შეთავაზებული სერვისის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს თანასწორობის პრინციპის დაცვით;
- გ) შპს „ტექნოკომს“, რომ შეიმუშავოს შინაგანანესი/შიდა რეგულაცია, სადაც განსაზღვრული იქნება კომპანიის ანტი-დისკრიმინაციული პოლიტიკა კლიენტების მომსახურებისას;
- დ) შპს „ტექნოკომს“, რომ ტაქსი „Maxim“-ის ვებ-გვერდზე www.taximaxim.ge დაამატოს პარამეტრი, რომელიც „Maxim“-ში განვერიანებისას მძღოლებს მიაწვდის ინფორმაციას კომპანიის ანტი-დისკრიმინაციული პოლიტიკის შესახებ, რომელზე თანხმობაც განვერიანების წინაპირობა იქნება.

შპს „ტექნოკომს“ ამ დრომდე არ უცნობებია საქართველოს სახალხო დამცველისთვის რეკომენდაციის განხილვის შედეგები. საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველი გადანყვეტილების მიღებისას დაეყრდნო WISG-ის მიერ სხვადასხვა დროს მომზადებულ კვლევებს ლგბტი ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ⁶⁶ და მიუთითა, რომ ლგბტი თემი საქართველოში დღეს ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ჯგუფია.⁶⁷

ტრანსფობიური დამოკიდებულება პოლიციის მხრიდან

ხშირად პოლიციელების ჰომოფობიური და ტრანსფობიური წინასწარგანწყობები ტრანსგენდერი ქალების და, განსაკუთრებით, კომერციული სექს-მუშაკი ტრანსგენდერი ქალების მიმართ საფუძვლად ედება მათ უკანონო დაკავებას.⁶⁸ პოლიციელების მხრიდან ამგვარი დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად დაზარალებულმა ტრანსგენდერმა ქალმა გამოიყენა ომბუდსმენის ანტი-დისკრიმინაციული მექანიზმი და მოითხოვა დისკრიმინაციის დადგენა კონკრეტული პოლიციელის მიმართ.⁶⁹

66. ე. ალდგომელაშვილი, წინასწარგანწყობებიდან თანასწორობამდე, 2016, გვ: 105, ხელმისაწვდომია აქ: https://ge.boell.org/sites/default/files/wisg_study_on_homophobic_attitudes_final.pdf და ნ. გვიანიშვილი, ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში, 2015, გვ: 18, ხელმისაწვდომია აქ: http://women.ge/data/docs/publications/WISG_Transgender_survey_2015.pdf

67. იხ. „საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია გენდერული იდენტობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ“. გვ: 7. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4497.pdf>

68. იხ. ზემოთ. „ტრანსგენდერ ქალთა უკანონო დაკავება“.

69. იხ. საქმე № 22-2017

საქმეში *სტოიკა რუმინეთის წინააღმდეგ*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) კავშირში დარღვევა. სასამართლომ გადანყვეტილების დასაბუთებისას გამოიყენა ის ფაქტი, რომ პოლიციელების მიერ გამოყენებული ტერმინი იყო სტერეოტიპული და, სწორედ ამიტომ, ისინი გამოძიებისას არ მოქმედებდნენ რასობრივად ნეიტრალურად.⁷⁰ ამდენად, ყოველი დისკრიმინაციის საქმის შესწავლისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სიძულვილის ენის გამოყენებას მსხვერპლის მიმართ, არამედ სტერეოტიპული ტერმინების გამოყენებასაც.

საქმე # 22-2017

ტრანსფობიური დამოკიდებულება პოლიციის მხრიდან

2017 წლის 27 თებერვალს ტრანსგენდერმა ქალმა ზ. ბ.-მ საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა საპატრულო პოლიციის წინააღმდეგ გენდერული იდენტობისა და გამოხატვის საფუძველზე დისკრიმინაციის დადგენის თხოვნით.

მომჩივანი მიიჩნევს, რომ იგი უკანონოდ დააკავა პატრულ-ინსპექტორმა, რადგან მოქმედებდა ჰომოფობიური და ტრანსფობიური წინასწარგანწყობებით. პატრულ-ინსპექტორი, რომელმაც უშუალოდ დააკავა ზ. ბ. და მის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა, საქმის სასამართლოში განხილვის დროს, გამოხატავდა პირად დამოკიდებულებებს ზოგადად ტრანსგენდერი ქალების და მათ შორის ზ. ბ.-ს მიმართ. 2017 წლის 6 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე, ინსპექტორმა განმარტა: „წარმოდგენილ მასალაში ჩანს მისი საქციელი, აშკარა უპატივცემულობა, როგორც ჩვენს მიმართ, ისე საზოგადოების მიმართ და ეს არ არის პირველი, დამერწმუნეთ არც ბოლოა... [დაკავებულმა] პირადი საუბარისას განაცხადა, რომ მისთვის არის კარგი, როცა ვაკავებთ, ვაეინტროუბთ ... და ა. შ. ... დამკვიდრებული აზრი არის, რომ [ტრანსგენდერი ქალები] გამოხატავენ აშკარა უპატივცემულობას, როგორც ჩემს მიმართ, ისე თქვენს მიმართ, საერთოდ არ აღიარებენ სახელმწიფო ინსტიტუტებს“.

სახალხო დამცველს ამ საქმეზე გადანყვეტილება ამ დრომდე არ მიუღია.

70. *Stoica v. Romania*, no. 42722/02, § 128, 4 March 2008

გენდრის სამართლებრივი პოლიკა

საქართველოში გენდრის სამართლებრივი აღიარების საკითხი ისევ დაურეგულირებელია. ტრანსგენდერი ადამიანები ვერ ახერხებენ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილებას, რაც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავალ დაბრკოლებას უქმნის და ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთის“ გამუდმებულ შიშში ამყოფებს.

2017 წელს დასრულდა საქართველოს სასამართლოებში ტრანსგენდერი ადამიანების გენდრის სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა.⁷¹ ორმა ტრანსგენდერმა კაცმა ვერ შეძლო პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლა, რადგან საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მათგან ითხოვდა ძვირადღირებული, ინვაზიური და შეუქცევადი სტერილიზაციის რისკის შემცველი სქესის კვლავმინიჭების პროცედურების ჩატარებას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არ გააჩნია კლინიკური გაიდლაინი ან პროტოკოლი ამ სამედიცინო პროცედურების ჩატარებისთვის.

WISG-ისა და European Human Rights Advocacy Center (EHRAC)-ის⁷² დახმარებით 2017 წელს ა. დ.-მ⁷³ და ა. ხ.-მ⁷⁴ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართეს. განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ საქართველოს სახელმწიფომ მათი გენდრის სამართლებრივ აღიარებაზე უარით დაარღვია კონვენციის მე-3 (ნამების აკრძალვა) და მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მუხლები მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლთან ერთობლიობაში.

აპლიკანტების განმარტებით, მათი სოციალური როლი მამაკაცის როლთან არის შესაბამისობაში, ხოლო პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერი „მედრობითი“ ინვეს მათ ე.წ. „იძულებით ქამინგაუთს“. ეს უკანასკნელი კი მათთვის მრავალ დაბრკოლებას ქმნის საზოგადოებაში, რადგან ტრანსგენდერ ადამიანებთან დაკავშირებული სტიგმა ძალიან ძლიერია. ა. დ. და ა. ხ. განმარტავენ, რომ ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთის“ შიში მათ გამუდმებულ სტრესში ამყოფებს და უკიდურესად ნეგატიურად ზემოქმედებს მათი

71. საქმეების დეტალებს გაეცანით აქ: ქ. ბახტაძე. „არაღიარებული ძალადობა – სამართალწარმოების ანგარიში“. WISG. თბილისი. 2017. ხელმისაწვდომია აქ: <http://women.ge/publications/133/>

72. ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია იხილეთ აქ: <http://ehrac.org.uk>

73. აპლიკაცია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაიგზავნა 2017 წლის 1 აგვისტოს.

74. აპლიკაცია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაიგზავნა 2017 წლის 10 ნოემბერს.

ცხოვრების ხარისხზე. აპლიკანტები მიიჩნევენ, რომ გენდერის სამართლებრივ აღიარებაზე უარით სახელმწიფო არღვევს მათი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას, რადგან ვერ უზრუნველყოფს ეფექტიანი გენდერის სამართლებრივი აღიარების მექანიზმის არსებობას. აპლიკანტების განმარტებით, ყოველივე ამის გამო ისინი ექვემდებარებიან დისკრიმინაციას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2017 წელს მიიღო კიდევ ერთი გადაწყვეტილება გენდერის სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებულ საქმეზე.⁷⁵ ხსენებულ საქმეში სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადგინა გენდერის სამართლებრივ აღიარებაზე უარის გამო პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა, მაგრამ სამედიცინო პროცედურების მოთხოვნის ნაწილში მხოლოდ შეუქცევად სტერილიზაციაზე ხაზგასმით შემოიფარგლა. მსგავსი გადაწყვეტილება სასამართლოს გამოტანილი აქვს თურქეთის წინააღმდეგ განხილულ საქმეშიც.⁷⁶ სასამართლოს ჯერჯერობით არ უმსჯელია ტრანსგენდერი ადამიანებისთვის გენდერის სამართლებრივი აღიარების შეუძლებლობაზე, როგორც დისკრიმინაციის წამახალი-სებელი პრაქტიკაზე და არც კონვენციით დაცული დისკრიმინაციის აკრძალვის უფლების დარღვევა დაუდგენია. ხსენებულ საქმეებზე პროფესორი Stephen Whittle-ის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, „ისეთი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ქონა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის პიროვნების გენდერულ იდენტობასთან და გამოხატვასთან წარმოადგენს დისკრიმინაციის წახალისებას“.⁷⁷

75. A.P., Garçon and Nicot v. France, nos. 79885/12 and 2 others, ECHR 2017 (extracts)

76. Y.Y. v. Turkey, no. 14793/08, ECHR 2015 (extracts)

77. Report of Professor Stephen Whittle. 30 July, 2017. §45

გრანსგენდერ აღმიათა ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დასვის სეკონსეზა

საქართველოში მცხოვრები ტრანსგენდერი ადამიანებისათვის კვლევ ხელმიუწვდომელია ტრანსსპეციფიკური სამედიცინო პროცედურები, მათ შორის ჰორმონული თერაპია, სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაცია და სხვა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს არ გააჩნია ტრანსგენდერ ადამიანებზე ზრუნვის სათანადო წესით აღიარებული კლინიკური გაიდლაინი და პროტოკოლი. 2017 წელს WISG-მა თარგმნა და სამინისტროს მიანოდა „ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის მსოფლიოს პროფესიული ასოციაციის“ (WPATH) მიერ შემუშავებული „ზრუნვის სტანდარტები ტრანსსექსუალი, ტრანსგენდერი და გენდერულად არაკონფორმული პირების ჯანმრთელობისთვის“.⁷⁸ სამინისტროს ამ დრომდე არ უცნობებია, თუ რა ღონისძიებებს გაატარებს ამ სტანდარტების შესაბამისი კლინიკური გაიდლაინებისა თუ პროტოკოლების მომზადების თვალსაზრისით.

WISG-ის მიერ 2015 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, კვლევაში მონაწილე ტრანსგენდერი ადამიანებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტრანზიციისათვის საჭირო სამედიცინო მომსახურებას, როგორცაა, მაგალითად, ჰორმონული თერაპია და სხვადასხვა ტიპის ქირურგიული ჩარევები (განსაკუთრებით, მასტექტომია ან მკერდის გადიდება).⁷⁹ მიუხედავად საჭიროებისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არ გააჩნია ტრანსსპეციფიკური სამედიცინო პროცედურების ჩატარების კლინიკური გაიდლაინი და პროტოკოლი. ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემა სრულიად უგულბებელყოფს ტრანსგენდერი ადამიანების სპეციალურ საჭიროებებს.

2017 წელს WISG-ის მიერ წარმოებული საქმის მიხედვით, ნათლად გამოჩნდა, რომ ის სერვისებიც კი, რომელიც ხელმისაწვდომია ცალკეულ სამედიცინო დაწესებულებებში, ხელმიუწვდომელი რჩება ტრანსგენდერი ადამიანებისათვის. ხელმისაწვდომობის პრობლემას, ერთი მხრივ, განაპირობებს პროცედურების საფასური, რომლის გადახდაც თემის წევრებს ხშირ შემთხვევაში არ შეუძლიათ, მეორე

78. მსოფლიოს პროფესიული ასოციაცია ტრანსგენდერთა ჯანმრთელობისთვის. „ზრუნვის სტანდარტები – ტრანსსექსუალი, ტრანსგენდერი და გენდერულად არაკონფორმული პირების ჯანმრთელობისთვის“. ხელმისაწვდომია აქ: <http://women.ge/publications/152/>

79. ე. აღდგომელაშვილი. ნ. გვიანიშვილი. თ. თოდუა. ც. რატიანი. „ტრანსგენდერ ადამიანთა საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“. WISG. თბილისი. 2015. გვ: 34. ხელმისაწვდომია აქ: <http://women.ge/publications/52/>

მხრივ, ამ ჯგუფის წევრები, სხვა მოქალაქეთა თანასწორად, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ისარგებლონ სამედიცინო პროცედურების დაფინანსებით.

აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საქართველოში არსებული ის კლინიკებიც კი, რომელთაც გააჩნიათ ცალკეული სპეციფიკური სამედიცინო სერვისები ტრანსგენდერი ადამიანებისათვის, უარს აცხადებენ სამინისტროს სპეციალურ ბაზაში დაარეგისტრირონ სპეციალური სტანდარტები.⁸⁰ სტანდარტი წარმოადგენს „მიმწოდებლის მიერ დამტკიცებული ამა თუ იმ მომსახურების ფასწარმოების დოკუმენტს, რომელიც შესაძლოა დადასტურებულად ეფუძნებოდეს მკურნალობის შესაბამის პროტოკოლს და რომელიც ასახავს ამ მომსახურების შემადგენელ კომპონენტებს და მათ განფასებას; მიმწოდებლები განმარტავენ, რომ ტრანსგენდერი ადამიანებისათვის საჭირო სამედიცინო სერვისების სტანდარტების დარეგისტრირება უსარგებლოა პირველ რიგში იმის გამო, რომ ასეთ სერვისებზე მოთხოვნა ძალიან დაბალია და თანაც ფიქრობენ, რომ „რეფერალური პროგრამის“ ფარგლებში ამ სერვისების დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიმღები კომისია უარს იტყვის.

ეს შემთხვევა წარმოადგენს ტრანსგენდერი ადამიანებისათვის სპეციფიკური სამედიცინო საჭიროებების უგულვებელყოფის კიდევ ერთ ნათელ მაგალითს. ტრანსგენდერი ადამიანები საზოგადოების განსაკუთრებით მცირე ჯგუფია, რომელთა სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა სახელმწიფოს ვალდებულებაა და ეს საკითხები არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მხოლოდ ცალკეული კლინიკების ხელმძღვანელთა კეთილ ნებაზე.

80. აღნიშნული სტანდარტი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის დადგენილებით №177 „სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების დამტკიცების შესახებ“ ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1654534>

საქმე # 23-2017

ტრანსსპეციფიკური სამედიცინო პროცედურების დაფინანსების შეუქმლვობა

რ. ფ.-მ 2017 წლის 18 აპრილს სოციალური მომსახურების სააგენტოს „რეფერალური მომსახურების ფარგლებში სამედიცინო დახმარების მისაღებად მიმართა. სააგენტოს წარმომადგენელმა მას განუმარტა, რომ მის მიერ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურა და ინვოისი ვერ აკმაყოფილებს კომისიის სტანდარტს და იმისათვის, რომ მისი განცხადება განხილულ იქნეს, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ანგარიშფაქტურა ისეთი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელსაც წინასწარ აქვს მითითებული სამედიცინო პროცედურების განფასება გაკეთებული სამინისტროს სპეციალურ ელექტრონულ ბაზაში.

WISG-ი დაუკავშირდა სამედიცინო დაწესებულებას და სთხოვა სამედიცინო პროცედურების განფასება, მაგრამ კლინიკამ უარი განაცხადა. კლინიკის ფინანსურმა მენეჯერმა განგვიმარტა, რომ ასეთ პროცედურებზე მოთხოვნა ძალიან დაბალია და ამიტომ კლინიკისათვის არათანაზომიერი ხარჯია ტრანსსპეციფიკური პროცედურების განფასების უზრუნველყოფა.

შესაბამისად, რ. ფ.-ს განცხადება სამედიცინო პროცედურების დაფინანსების თაობაზე განუხილველი დარჩა.

ლგბტი საკითხების გაშუქება მედიაში

2017 წლის მანძილზე კვლავ აქტუალური იყო მედიაში ჰომოფობიური/ტრანსფობიური სიძულვილის ენის გამოყენება და ლგბტი ადამიანებთან დაკავშირებული საკითხების არაეთიკური გაშუქება. WISG-მა ოთხჯერ მიმართა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას⁸¹ სხვადასხვა მედია ორგანიზაციისა თუ ჟურნალისტის წინააღმდეგ. სიუჟეტები, რომელთა შინაარსის ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებთან შესაბამისობაც სადავო გახდა, შეიცავდა ლგბტი ადამიანების მიმართ დისკრიმინაციის ნახალისების საფრთხეს ან/და წარმოადგენდა ტრანსგენდერი ადამიანების პირად ცხოვრებაში არაეთიკურ ჩარევას.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-7 პრინციპის თანახმად, ჟურნალისტ უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის ნახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე, ან რაიმე სხვა ნიშნით. WISG-ის მიმართვის საფუძველზე საბჭომ ჟურნალისტის მიერ ჰომოფობიური გამონათქვამის იგნორირება ქარტიის მე-7 პრინციპის დარღვევად მიიჩნია.⁸² ერთ-ერთი საქმის მაგალითზე ჩანს ჟურნალისტის მიერ ტრანსგენდერი ქალების ეგზოტიკურ პირებად წარმოჩენის მცდელობა.⁸³ ეს პრაქტიკა კი ხელს უწყობს მათ შესახებ საზოგადოებაში არსებული სტიგმის გაძლიერებას. ქარტიის საბჭომ არაერთ გადაწყვეტილებაში ახსენა, რომ სტიგმატიზირება და სტიგმის გაძლიერება, ჟურნალისტური ეთიკის განმარტებით, დისკრიმინაციის სახეა.⁸⁴

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-10 პრინციპის თანახმად, „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი“. ეს პრინციპი მოიცავს რესპოდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავებისას მისი ინფორმირებული თანხმობის მოპოვების აუცილებლობას. განსაკუთ-

81. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია არის ჟურნალისტთა დამოუკიდებელი გაერთიანება, რომლის მისიაა, პროფესიული და ეთიკური სტანდარტის დაცვისა და თვითრეგულირების მექანიზმების შექმნის გზით, მედიის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამაღლება. იხ. <http://qartia.ge/ka/qartia>

82. იხ. საქმე № 24-2017

83. იხ. საქმე № 25-2017

84. მაგალითად, იხილეთ საბჭოს გადაწყვეტილება საქმეზე „PHR გია ჯაჯანიძის და მაია სტეფანაძის წინააღმდეგ“. ხელმისაწვდომია აქ: <http://bit.ly/2CvJ8sd>

რებით მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა ჟურნალისტმა გააცნობიეროს ამ პრინციპის დაცვის მნიშვნელობა მასალის მომზადებისას, რადგან საქართველოს კანონის „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ მოქმედება არ ვრცელდება მედიასაშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე.⁸⁵ შესაბამისად, ჟურნალისტი უნდა აცნობიერებდეს ინფორმირებული თანხმობის მოპოვების გარეშე პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ საფრთხეებს და ყველა ღონე იხმაროს, რომ არაეთიკურად არ შეიჭრას ადამიანის პირად ცხოვრებაში.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ, 2015 წელს ერთ-ერთ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას დაურთო სახელმძღვანელო რეკომენდაციები,⁸⁶ რომელიც ტრანსგენდერი ადამიანების შესახებ მასალების მომზადებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული. ქარტიამ დაადგინა, რომ ამ რეკომენდაციების დარღვევა გამოიწვევს მე-10 პრინციპის დარღვევას.⁸⁷ რეკომენდაციების მომზადების მიზანი იყო ტრანსგენდერი ადამიანების დაცვა ეგზოტიზაციისგან და მათ შესახებ საზოგადოებაში არსებული სტიგმის გაძლიერების თავიდან არიდება. აღნიშნული სახელმძღვანელო რეკომენდაციები მოიცავს სიტყვა „ტრანსგენდერის“ განმარტებას, ტრანსგენდერი ადამიანების გენდერულ იდენტობასა და სახელთან დაკავშირებული საკითხების ეთიკური გაშუქების სტანდარტს, ამ ჯგუფის წევრთა საკითხების გაშუქებისას გასათვალისწინებელ გარემოებებს, მათ შორის, ისეთ საკითხებს, რომელიც უკავშირდება კონტექსტის მიწოდებასა და გაშუქებასთან დაკავშირებულ სირთულეებს.

ტრანსგენდერი ადამიანების შესახებ ჟურნალისტური პროდუქტის მომზადებისას განსაკუთრებით ხშირ პრობლემას წარმოადგენს ტრანსგენდერი ქალების პერსონალური მონაცემების უნებართვო გავრცელება ან მათ მიმართ არასწორი და არაეთიკური ტერმინების გამოყენება.⁸⁸ WISG-ის წარმოებაში არსებული ორი საქმის მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ჟურნალისტები არ იცნობენ ქარტიის მიერ დადგენილ სტანდარტს და არ იყენებენ მას მასალის მომზადებისას. ერთ-ერთ საქმეში, სადაც WISG-სა და ტელეკომპანია “იმედის“ ჟურნალისტს შორის მედიაცია შედგა, ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ

85. იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 4.

86. იხ. ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილება საქმეზე ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი ჟურნალისტების: „ლევან სუთიძის, ქეთი კვაჭანტირაძის, ბექა მჭედლიშვილის, თეა სიჭინავას და ნანუკა ქაჯაიას წინააღმდეგ, 26.04.2015. ხელმისაწვდომია აქ: <http://bit.ly/2C9lQLK>

87. მე-10 პრინციპის თანახმად, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.

88. იხ. საქმე №28-2017

„მისთვის უცნობი იყო საბჭოს რეკომენდაციის შესახებ, თუ როგორ უნდა გაშუქდეს ტრანსგენდერ პირებთან დაკავშირებული თემები“.⁸⁹

ლგბტი ადამიანების მიმართ სტიგმის გაძლიერებას ხელს უწყობს როგორც მედიაში ჯგუფთან დაკავშირებული სტერეოტიპების გავრცელება, ასევე საზოგადოებაში დამკვიდრებული ჰომოფობიური მინარსის დისკრიმინაციული ტერმინების გამოყენება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტმა, ერთის მხრივ, თავად არ გაავრცელოს ასეთი სტერეოტიპები, ხოლო მეორე მხრივ, რეაგირების გარეშე არ დატოვოს რესპონდენტის დისკრიმინაციული გამონათქვამი. ტრანსგენდერი ადამიანების ეგზოტიზაციისა და ამ ჯგუფთან დაკავშირებული სტიგმის გაძლიერების საქმეში მედიას განსაკუთრებული როლი აქვს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ამ თემებზე მასალის მომზადებისას ჟურნალისტს ესმოდეს ჯგუფის წინაშე არსებული გამოწვევები და იცოდეს ამ ჯგუფის სპეციფიკური საჭიროებების შესახებ.

საქმე # 24-2017

ჰომოფობიური გამონათქვამის იზნორირებით ქართლის მე-7 პრინციპი დარღვა

2017 წლის ოქტომბერში WISG-მა განცხადებით მიმართა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართლის საბჭოს. ორგანიზაცია მიიჩნევდა, რომ 2017 წლის 2 ოქტომბერს, ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში, გადაცემა „პრიორიტეტში“, დაირღვა ქართლის მე-7 პრინციპი. მოპასუხე ჟურნალისტად განისაზღვრა გადაცემის წამყვანი მაკა რაზმაძე.

განმცხადებელი მიუთითებდა, რომ გადაცემაში რესპონდენტმა, დავით ახრახაძემ, თქვა შემდეგი ფრაზა: „ინტერვიუს პიდარასტებიც აძლევენ“. გადაცემის წამყვანის, მაკა რაზმაძის, მხრიდან რესპონდენტის ფრაზას არ მოჰყოლია სათანადო რეაგირება.

საქმის განხილვა გაიმართა 2017 წლის 22 დეკემბერს და საბჭომ ჟურნალისტის მიერ ქართლის მე-7 პრინციპის დარღვევა დაადგინა.⁹⁰

89. იხ. საქმე №25-2017

90. საქმის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ აქ: <http://bit.ly/2EOK1WW>

საქმე # 25-2017

ტრანსგენდერი ქალების მიმართ სტიგმის გაქლიერება

2016 წლის ნოემბერში WISG-მა და EMC-მ⁹¹ განცხადებით მიმართეს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს. განმცხადებლები მიიჩნევდნენ, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, 2016 წლის 23 ოქტომბერს, გადაცემა „იმედის დროში“ გასულ სიუჟეტში „ტრანსგენდერთა ნაწილი სექსუალური უმცირესობების უფლებადამცველებს უპირისპირდება“ დაირღვა ქარტიის პირველი და მე-7 პრინციპი. სიუჟეტი ეხებოდა სექსუალური უმცირესობების საკითხზე მომუშავე ორგანიზაციებს შორის სავარაუდო დაპირისპირების ფაქტებს და ასევე იმ პრობლემებს, რომელთაც სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები აწყებიან საზოგადოებაში. საბჭოს მიერ მოპასუხედ განისაზღვრა სიუჟეტის ავტორი სოფო მთივლიშვილი.

სადავო სიუჟეტში სტუდიაში მონეული ტრანსგენდერი ქალები საუბრობენ. მასალაში ახლო კადრებით ნაჩვენებია ის განმასხვავებელი ნიშნები [მაღალ ქუსლიანი ფეხსაცმელები, ტანსაცმელი, მკვეთრი მაკიაჟი], რომლებიც საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებებით შეუფერებელია ტრანსგენდერი ქალების ბიოლოგიურ სქესთან. მსგავსი სახით გაშუქებამ გამოწვია ტრანსგენდერი ქალების ეგზოტიკურ პირებად წარმოჩენა და მათ მიმართ სტიგმის გაძლიერება.

საქმის განხილვა გაიმართა 2017 წლის 27 თებერვალს და საბჭომ ჟურნალისტის მიერ ქარტიის მე-7 პრინციპის დარღვევა დაადგინა.⁹²

საქმე # 26-2017

WISG-სა და „იმედის“ ჟურნალისტს შორის მედიაციის შედეგა

2017 წლის 12 აპრილს WISG-მა განცხადებით მიმართა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს. ორგანიზაცია მიიჩნევდა, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, გადაცემა „ქრონიკაში“ გასულ სიუჟეტში – „მორიგი თავდასხმა ტრანსგენდერზე“ დაირღვა ქარტიის მე-7 და მე-10 პრინციპი. მოპასუხე ჟურნალისტები: ნამყვანი ნანა ლეჟავა და სიუჟეტის ავტორი ქეთი ფარცხალაძე. დარღვევის საფუძვლად მითითებული იყო, რომ სიტყვა „ტრანსგენდერი“ გამოყენებული იყო, როგორც არსებითი სახელი, ქარტიის საბჭოს რეკომენდაციის მიხედვით კი სიტყვა „ტრანსგენდერი“ არის ზედსართავი სახელი და მას, გამოყენების შემდეგ, აუცილებლად უნდა მოსდევდეს პირის მიერ არჩეული სქესის აღმნიშვნელი სიტყვა, მაგალითად „ტრანსგენდერი ქალი“ ან „ტრანსგენდერი კაცი“. ქარტიის საბჭომ მიიჩნია, რომ მხარეებს შორის შესაძლებელი იყო მედიაცია და აღნიშნული მექანიზმი შესთავაზა განმცხადებელს. WISG-ი დაეთანხმა მედიაციის მექანიზმს და აღნიშნა, რომ ორგანიზაციის მიზანია, ჟურნალისტებს შორის ამაღლდეს რეკომენდაციების შესახებ ცნობადობა და იმის გათვალისწინებით,

91. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია იხილეთ აქ: <https://emc.org.ge>

92. საქმის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ აქ: <http://bit.ly/2HvWpVw>

რომ, ზოგადად, სიუჟეტი ტრანსგენდერი თემის მიმართ პოზიტიური ხასიათისაა, არსებითი მიზანი არ არის ქარტიის რომელიმე პრინციპის დარღვევის დადგენა. 2017 წლის 31 მაისს WISG-სა და იმედის ჟურნალისტს შორის მედიაცია შედგა.⁹³

საქმე # 27-2017

ტრანსგენდერი ქალის პერსონალურ მონაცემთა უნებართვო გავრცელება

2016 წლის ოქტომბერში WISG-მა განცხადებით მიმართა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს. ორგანიზაცია მიიჩნევდა, რომ 2016 წლის 17 ოქტომბერს, ვებგვერდ kvira.ge-ზე გამოქვეყნებული სტატიით „ვინ არის ტრანსგენდერი, რომელსაც სასტიკად გაუსწორდნენ? – „ერთმა ქვა ჩაარტყა, მეორემ ყელი გამოჭრა“ დაირღვა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი და მე-10 პრინციპი. სტატია ეხებოდა ტრანსგენდერ ქალზე განხორციელებული ძალადობის ფაქტს. სტატიაში მითითებული არ იყო კონკრეტული ავტორი ჟურნალისტი და შესაბამისად, მოპასუხე პირად განისაზღვრა ვებსაიტ kvira.ge-ის რედაქტორი ქეთი ხოსიტაშვილი.

დარღვევის საფუძვლად მითითებული იყო ორი პირობა: 1) დაზარალებულს ჟურნალისტისთვის არ მიუცია ინფორმირებული თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების, სახელისა და გვარის, ასაკის [პირადობის მონაცემების მიხედვით] და ფოტოსურათის გამოქვეყნების შესახებ; 2) დაირღვა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია ტრანსგენდერებთან დაკავშირებული თემის გაშუქების სტანდარტის შესახებ, კერძოდ, სიტყვა „ტრანსგენდერი“ სტატიაში გამოყენებულია, როგორც არსებითი სახელი: ასევე, გამჟღავნებულია ტრანსგენდერი ქალის რეგისტრირებული სახელი და გვარი, საბჭოს რეკომენდაციის მიხედვით კი, ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპებიდან გამომდინარე, ტრანსგენდერი ადამიანის მიერ არჩეული სახელი უნდა იქნას აღიარებული ჟურნალისტების მიერ მის ნამდვილ სახელად, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს სახელი მის საბუთებში შეცვლილი. საქმის განხილვა გაიმართა 2017 წლის 28 იანვარს და საბჭომ ჟურნალისტის მიერ ქარტიის მე-10 პრინციპის დარღვევა დაადგინა.⁹⁴

93. საქმის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ აქ: <http://bit.ly/2C72FTX>

94. საქმის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ აქ: <http://bit.ly/2BGvENX>


2017 წელს ღოკუვენგიკაბული შემთხვევების, სამართლებრივი კონსულტაციებისა და სააღკვეთო მომსახურების სვავისვიკა

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG) ქალთა სა-
კითხვებზე მომუშავე ფემინისტური ორგანიზაციაა, რომლის განსა-
კუთრებულ სამიზნე ჯგუფს შეადგენს ლესბოსელი და ბისექსუალი
ქალები, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანები, ეთნიკური, რე-
ლიგიური უმცირესობების წარმომადგენელი, სოფლად მცხოვრები,
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სხვა მონყვლადი და მა-
რგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენელი ქალები.

2017 წლის მანძილზე WISG-ს მომართავდნენ სხვადასხვა დაუცვე-
ლი ჯგუფის წევრი ქალები, მათ შორის ლესბოსელი/ბისექსუალი ქა-
ლები და ტრანსგენდერი ადამიანები, სექსუალური ძალადობის მსხვე-
რპლი ქალები, კომერციული სექს-მუშაკი ქალები და სხვა.


2017 წლის მანძილზე WISG-ის იურისტებმა 105 შემთხვევაზე გა-
ნიეს სამართლებრივი კონსულტაცია. აქედან, 80 შემთხვევაში – ტე-
ლეფონის, 5 შემთხვევაში – ონლაინ, ხოლო, 20 შემთხვევაში, პირის-
პირ შეხვედრის საშუალებით. სამართლებრივი კონსულტაცია გაიცა
ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული და-
ნაშაულის, მათ შორის, მუქარის/შანტაჟის (5), ძალადობის (6), ცემის/
სხეულის დაზიანების (7), ოჯახში ძალადობის (7), პოლიციის მხრიდან
შევიწროების (7), ნივთების დაზიანების/ქურდობის (6), შემთხვევებ-
ზე. ასევე, პერსონალური მონაცემების უნებართვოდ გავრცელების
(7), სქესის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის
ნიშნით დისკრიმინაციის, მათ შორის, დასაქმების ადგილზე დისკრი-
მინაციის (8) და სხვა შემთხვევებზე.

სამართლებრივი კონსულგანცია



WISG-ის იურისტებმა 2017 წელს იმუშავეს 48 საქმეზე. აქედან ამ დრომდე არ დასრულებულა 18 საქმეზე მუშაობა. წარმოებულ საქმეების უმეტესობა ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, მათ შორის მკვლელობის (1), ცემა/სხეულის დაზიანების (8), პოლიციის მხრიდან შევიწროებისა და უკანონო დაკავების (6), მუქარისა და შანტაჟის (5) და სხვა საქმეებზე. ასევე, პერსონალური მონაცემების უნებართვოდ გავრცელების (5), გენდერის სამართლებრივი აღიარების (2), დისკრიმინაციის (4), ალიმენტის დანიშვნის (2) და სხვა საქმეებზე.

ნარკოპოლიტიკის საქმეები



ქვეყანაში არსებული მაღალი ჰომოფობიური ფონის გამო, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებისა და ინციდენტების შედეგად დაზარალებული ადამიანების უმრავლესობა თავს იკავებს არა მხოლოდ პოლიციისათვის, არამედ, ცალკეულ შემთხვევაში, ლგბტი ან ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციებისათვის მიმართვისგანაც. ამ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია WISG-ის მიერ შექმნილი ანონიმური ონლაინ-შეტყობინების ფორმის⁹⁵ არსებობა. ფორმა საშუალებას იძლევა, რომ მოხდეს ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული ისეთი ფაქტების დოკუმენტირება, რომელიც რეაგირების გარეშე რჩება. 2017 წელს დოკუმენტირებული შემთხვევების რაოდენობამ იკლო. მთელი წლის მანძილზე მხოლოდ ხუთი შემთხვევაა დოკუმენტირებული. საგულისხმოა, რომ გაიზარდა WISG-ში პირველადი იურიდიული კონსულტაციისათვის მომართვის სტატისტიკა.

გარდა აღნიშნული დოკუმენტირების ონლაინ-შეტყობინების ფორმისა, ორგანიზაციას წინასწარ შემუშავებული აქვს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შედეგად დაზარალებულისა და მოწმის გამოკითხვის ფორმები. სწორედ ამ ფორმების მეშვეობით ხდება ისეთი შემთხვევების დოკუმენტირება, რომელზეც მსხვერპლები თავს იკავებენ პოლიციისთვის მიმართვისაგან. ამ ფორმით 2017 წელს დოკუმენტირებულია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და ინციდენტის 40-მდე ფაქტი.

95. ფორმა ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSf4jCwnOs61tpT0iS1OG4zaEqkIxEqGH7qBx2J9N5v4BIWxozA/viewform>

შეჯამება

წარმოდგენილი ანგარიში WISG-ის ხელთ არსებული დოკუმენტირებული საქმეებისა და მიწოდებული სერვისების საფუძველზე იძლევა ქვეყანაში ლგბტი ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობის ერთგვარ სურათს. ასევე, ნათლად აჩვენებს თუ რა პრობლემებს აწყდებიან თემის წევრები, როდესაც ცდილობენ სხვა მოქალაქეების თანასწორად ისარგებლონ ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის მექანიზმებით. ქვეყანაში არსებული ჰომოფობიის და ტრანსფობიის მაღალი დონის მიუხედავად, ცალკეულ შემთხვევებში, ლგბტი თემის წევრები ცდილობენ იპოვონ ძალა და გამოიყენონ შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმები მათ მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის აღსაკვეთად. ასევე, ჰომოფობიური და ტრანსფობიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებსა და ინციდენტებზე რეაგირებასთან დაკავშირებული სირთულეების არსებობის მიუხედავად, გარკვეულ შემთხვევებში, პოლიციის მხრიდან რეაგირებას პოზიტიური შედეგი აქვს.

საგულისხმოა, რომ WISG-ის ბაზაზე დანერგილი, მსხვერპლზე ორიენტირებული სისტემის შედეგად, სერვისის მიმღებისთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა სპეციალისტისგან შემდგარი გუნდის⁹⁶ მომსახურება. ასეთი მხარდაჭერის სისტემა პოზიტიურად ზემოქმედებს მსხვერპლის ცხოვრების ხარისხზე და ძალადობის გამოცდილების შედეგების აღმოფხვრისთვის არსებითად მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ WISG-ის პრაქტიკაში მრავალი წარმატებული შემთხვევაა, ეს მხოლოდ ერთი ორგანიზაციის რესურსია და საკმარისი არაა ქვეყანაში მცხოვრები ლგბტი ჯგუფის წევრებისათვის. აუცილებელია, რომ სახელმწიფომ აიღოს პასუხისმგებლობა და დანერგოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისები.

გარდა ამისა, დისკრიმინაციისა თუ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და ინციდენტების ცალკეულ შემთხვევებზე რეაგირება არ არის საკმარისი ამგვარი მოპყრობის პრევენციისათვის. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ნათლად გაიაზროს თემის სპეციფიკური საჭიროებები და შეიმუშავოს თანმიმდევრული პოლიტიკა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ საზოგადოებაში არსებული სტიგმის შემცირებისა და სტერეოტიპების აღმოფხვრისათვის.

96. გუნდი შედგება სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, იურისტის, სექსოლოგის, ფსიქიატრის და სხვა დახმარე სპეციალისტებისგან.

გამოყენებული მასალები

ბახტაძე ქ. „არალიარებული ძალადობა – სამართალწარმოების ანგარიში“. WISG. თბილისი. 2017.
ხელმისაწვდომია აქ: <http://women.ge/publications/133/>

აღდგომელაშვილი ე., „წინასწარგანწყობებიდან თანასწორობამდე“. WISG. თბილისი. 2016.
ხელმისაწვდომია აქ: <http://women.ge/publications/87/>

გვიანიშვილი ნ., ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში, 2015.
ხელმისაწვდომია აქ: http://women.ge/data/docs/publications/WISG_Transgender_survey_2015.pdf

აღდგომელაშვილი ე., გვიანიშვილი ნ., თოდუა თ., რატიანი ც. „ტრანსგენდერ ადამიანთა
საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“. WISG. თბილისი. 2015.
ხელმისაწვდომია აქ: <http://women.ge/publications/52/>

ხატიაშვილი გ. „დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“. საქართველოს
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. თბილისი. 2016

ქურდოვანიძე ნ. „სამართალდარღვევად მიჩნეული პროტესტი“. საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაცია. თბილისი. 2017.
ხელმისაწვდომია აქ: <http://bit.ly/2sNmeNj>

„ინტერსექციური დისკრიმინაცია ევროკავშირის გენდერული თანასწორობისა და
ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში“. ევროპის საბჭო. 2016.
ხელმისაწვდომია აქ: <http://bit.ly/2tscMMG>

მსოფლიოს პროფესიული ასოციაცია ტრანსგენდერთა ჯანმრთელობისთვის. „ზრუნვის
სტანდარტები – ტრანსსექსუალი, ტრანსგენდერი და გენდერულად არაკონფორმული პირების
ჯანმრთელობისთვის“.
ხელმისაწვდომია აქ: <http://women.ge/publications/152/>

საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში. 2018.
ხელმისაწვდომია აქ: <http://pog.gov.ge/res/docs/6tebervalimtavariprokursorisangarishi.pdf>

საქართველოს სახალხო დამცველი. „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან
აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“. 2017. თბილისი.
ხელმისაწვდომია აქ: <http://ombudsman.ge/uploads/other/4/4825.pdf>

Ashwill, Maximilian; Lacroix, Rebecca. 2017. Gender Based Violence in Georgia : Links among
Conflict, Economic Opportunities and Services. World Bank, Washington, DC. © World Bank.
<https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/29108>

Camilo Bernal Sarmiento, Miguel Lorente Acosta, Françoise Roth, Margarita Zambrano. Latin
American Model Protocol for the investigation of gender-related killings of women (femicide/femini-
cide). 2015. OHCHR. UN Women. გვ: 16.
ხელმისაწვდომია აქ: <http://bit.ly/2CcjUn3>

General Recommendation No. 28 on the Core Obligations of States Parties under Article 2 of the
Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women. CEDAW/C/2010/47/
GC.2. 2010.

The Health of Lesbian, Gay, Bisexual, and Transgender People. National Academy of Sciences.
2011.

Hate crime laws – a practical guide. OSCE/ODIHR 2009.
ხელმისაწვდომია აქ: <https://www.osce.org/odihr/36426?download=true>

Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establish-
ing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime

Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establish-
ing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“

საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის დადგენილება №177 „სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების დამტკიცების შესახებ“
ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1654534>

Šečić v. Croatia, no. 40116/02, 31 May 2007

Boacă and Others v. Romania, no. 40355/11, 12 January 2016

Identoba and Others v. Georgia, no. 73235/12, 12 May 2015

Armani Da Silva v. the United Kingdom [GC], no. 5878/08, ECHR 2016

Tsintsabadze v. Georgia, no. 35403/06, 15 February 2011

Bekos and Koutropoulos v. Greece, no. 15250/02, ECHR 2005-XIII (extracts)

Müller and Others v. Switzerland, 24 May 1988, Series A no. 133

Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark, 7 December 1976, Series A no. 23

Stoica v. Romania, no. 42722/02, 4 March 2008

A.P., Garçon and Nicot v. France, nos. 79885/12 and 2 others, ECHR 2017 (extracts)

Y.Y. v. Turkey, no. 14793/08, ECHR 2015 (extracts)



9 789941 084614